უნარ-ჩვევების გამოვლენა-სრულყოფა.

ტექნიკური პროფესიებისა და ტექნიკური სპორტისადმი ინტერე-  
სის განვითარება და აღზრდა.

### II. კონკურსის მონაწილეობი

ავტომობილის ნორჩ მძღოლთა კონკურსში მონაწილეობას ღებუ-  
ლობენ ავტოსაქმის სწავლებისანი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო  
სკოლების IX — X კლასების ის მოსწავლეები, რომლებიც კარგად არიან  
დაუფლებული ავტომობილების მართვის ჩვევებს, გამოიიჩინებიან სანი-  
მუშო ყოფაქცევით, საგზაო მოძრაობის წესების, ავტომობილის მოწყო-  
ბილობისა და ექსპლუატაციის საფუძვლების კარგი ცოდნით.

კონკურსის ყველა მონაწილეს უნდა ქონდეს: ცნობა სკოლიდან,  
რომელი სკოლისა და კლასის მოსწავლეა, აგრეთვე ცნობები უსაფრ-  
თხოების ტექნიკის ინსტრუქტაციის გავლისა და ჯანმრთელობის შესახებ!

### III. კონკურსის ჩატარების ვადები

ავტომობილის ნორჩ მძღოლთა 1-ლი რესპუბლიკური კონკურსი  
ტარდება სამ ეტაპად:

— რაიონული (საქალაქო) — ყოველწლიურად. რაიონულ (საქა-  
ლაქო) კონკურსში დაიმვებიან სასკოლო კონკურსში გამარჯვებული  
მოსწავლეები;

— ზონალური — ორ წელიწადში ერთხელ. მასში მონაწილეობის  
მისაღებად დაიშვებიან რაიონულ (საქალაქო) კონკურსში გამარჯვებუ-  
ლი მოსწავლეები;

— რესპუბლიკური — ორ წელიწადში ერთხელ. მასში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ზონალურ კონკურსებში გამარჯვებული: მონაწილეობის სწავლები.

შენიშვნა: თუ რაიონში (ქალაქში) შრომითი სწავლება ავტო-საქმეში ხორციელდება მხოლოდ სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომიტინატის ბაზაზე, მაშინ სა-სკოლო კონკურსი არ ტარდება.

#### IV. კონკურსის ორგანიზაცია და ჩატარების პირობები

კონკურსის ჩატარების ორგანიზატორები არიან საქართველოს სასამართლებოს სამინისტრო, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს აღკვეთის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო და საქართველოს სსრ „დოსააფის“ რესპუბლიკური სასპორტო კლუბი.

ავტომობილის ნორჩ მძღოლთა 1-ლი რესპუბლიკური კონკურსი ტარდება სამ ეტაპად — რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური. შესაბამისად იქმნება საორგანიზაციო კომიტეტები.

რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება 5-7 წევრით, კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება 9-11 წევრით, კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს ზონის ცენტრის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

ზონალური შეჯიბრების ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 13 ზონად, ზონის ცენტრებად შერჩეულია:

1. ქ. სოხუმი — აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
2. ქ. ბათუმი — აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
3. ქ. ცხინვალი — სამხრეთ რსეთის ავტონომიური ოლქის სკოლების მოსწავლეებისათვის
4. ქ. თბილისი — ქ. თბილისის, თიანეთის, დუშეთის, ყაზბეგისა და საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
5. ქ. რუსთავი — ქ. რუსთავის, თეთრიწყაროს, მარნეულის, გარდაბნის, წალკის, ღმანისისა და ბოლნისის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
6. ქ. ქუთაისი — ქ. ქუთაისის, ამბროლაურის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, ონის, ცაგერისა და წყალტუბოს რაიონების მოსწავლეებისათვის
7. ქ. ზეტაფონი — ზეტაფონის; თერჯოლის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ტყიბულისა და ჭიათურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
8. ქ. გორი — ქ. გორის, გორის, ხაშურის, ქარელის, მცხეთის, კასპისა



- და ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
9. ქ. გურჯაანი — გურჯაანის, ახმეტის, თელავის, ლაგოდეხის, თელწყარის, ყვარლისა და სიღნაღის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
  10. ქ. მახარაძე — მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
  11. ქ. ახალციხე — ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინძისა და აღიგენის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
  12. ქ. სამტკრელია — სამტკრელის, ვანის, წულუკიმისა და აბაშის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
  13. ქ. ზუგდიდი — ქ. ზუგდიდის, ფოთის, ზუგდიდის, ცხაკიას, მესტიის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობისა და გეგეთიორის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

რაიონული (საქალაქო) ეტაპი ტარდება 1982 წლის 28 თებერვლამდე, რაიონული (საქალქო) საორგანიზაციო კომიტეტი გამარჯვებულ მოსწავლეთა სიას, ორმელთაც I, II და III ადგილები დაიკავეს, წარადგენს ზონალურ საორგანიზაციო კომიტეტში 1982 წლის 10 მარტამდე, ზონალურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

ზონალური კონკურსი ტარდება 1982 წლის 19-20 აპრილს, ერთდროულად ყველა მონაწილეობათვის.

ზონალურ ტურში გამარჯვებულ მოსწავლეთა სიას, ორმელთაც I, II და III ადგილები დაიკავეს, ზონის საორგანიზაციო კომიტეტი წარადგენს 1982 წლის 30 აპრილამდე რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

რაიონული (საქალქო) რა ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტები 1982 წლის 30 აპრილამდე კონკურსის შედეგების შესახებ მოხსენებით ბარათს აგზავნიან რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში.

მესამე ეტაპი — რესპუბლიკური კონკურსი ტარდება 1982 წლის 20-22 მაისს ქ. თბილისში.

რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებული ავტომობილის ნორჩი მძლოლები, რომლებიც დაიკავებენ 1-ელ, მე-2 და მე-3 ადგილებს, ჯილდოვდებიან I, II და III ხარისხის სიგელებითა და ფასიანი პრიზებით.

#### V. კონკურსის ჩატარების შინაარსი და წესი

კონკურსის მონაწილენი ეჯიბრებიან ავტომობილის ტარებასა და მისი ტექნიკური მომსახურების ოსტატობაში, უსაფრთხოების საფუძვლებისა და საგზაო მოძრაობის წესების ცოდნაში. კონკურსი ტარდება სამ ეტაპად.

პირველი ეტაპი. ავტომობილის ტარება სწორ ან უმნიშვნელო უსწორ-მასწორო ადგილიან გზაზე.

მონაწილენი ეჯიბრებიან საგზაო ნიშნებითა და სხვადასხვა სახის  
წინაღობებით („კლაკნილა“, „ლიანდი (ნაკვალევი)“, რეინიგზის გადაცემა  
სასცლელი შლაგბაუმით, გაბარიტული გვირაბი, ლაბირინთი და სხვ.),  
რომელთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ხუთს, 1 კილომეტრამდე  
საერთო სიგრძის მქონე ტრასაზე. ტრასა ეწყობა სხვა სატრანსპორტო  
საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთაგან იზოლირებულ ტერიტო-  
რიებზე. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას არსებული ავტო-  
დრომები, ავტოპოლიგონები და საბავშვო საავტომობილო გზები.

ტრასის გავლამდე ყველა მონაწილე ავტომობილს აჩერებს მის-  
თვის განსაზღვრულ სადგომზე, გავლის დასასრულს კი ავტომობილი  
უნდა გააჩეროს ისე, რომ პირველივე დღით ორივე წინა თვლებმა კონ-  
ტრაქტი იქმნიონ ხაზთან „სდექ“.

ყველა სავარჯიშოს შესრულების სისწორისა და სიზუსტის, მათ  
შესრულებაზე დახარჯული დროის გათვალისწინებით კონკურსის მო-  
ნაწილეს ერიცხება ან აკლდება გარკვეული რაოდენობის ჭულები, ნორ-  
მატივებს განსაზღვრავს მსაჯთა კოლეგია კონკრეტული ადგილობრივი  
პირობებიდან გამომდინარე.

ტრასის გავლის დროს ერთ-ერთი მსაჯი უნდა იმყოფებოდეს ავ-  
ტომობილის კაბინაში.

მეორე ეტაპი. ავტომობილის ტექნიკური მომსახურება.

კონკურსის მონაწილეს ეძლევა რამოდენიმე მარტივი სახის და-  
ვალება (არაუმეტეს სამისა), რომლის შესრულებაც არ თხოულობს  
დიდი დონის დაკარგვას: ანთების სანათლის შეცვლა, გადამწვარი ნა-  
თურის პოვნა და მისი შეცვლა, საბურავებში ჰაერის წნევის გაზომვა,  
ვენტილატორის დვედის დაჭიმულობის შემოწმება და მისი რეგული-  
რება, ბორბლის შეცვლა, ძრავას კარტერში ზეთის დონის შემოწმება და  
სხვა. ცალკეული დავალებების შესრულებისას შეიძლება გამოყენებულ  
იქნას ავტოკლასის მოწყობილობა, აგრეგატები, რომლებიც დამონტა-  
ჟებულია სახელოსნოში.

თუ მონაწილე ჩაეტევა გამოყოფილ დროში და სწორად შეასრუ-  
ლებს ყველა ობერაციას, მაშინ მას ერიცხება გარკვეული რაოდენობის  
ჭულები. საკონტროლო დროზე უკეთესი მაჩვენებლების მქონე მონა-  
წილე წახალისდება დამატებითი ჭულებით. ამასთან, საკონტროლო  
დროზე გადაცილებულ დროს პროპორციულად შეიძლება მოეხსნას  
ჭულების გარკვეული ნაწილი. გარდა ამისა, ჭულები შეიძლება მოეხს-  
ნას მონაწილეს დავალების შესრულების დროს უსაფრთხოების ტექნი-  
კის წესების დარღვევის შემთხვევაშიც.

მესამე ეტაპი. უსაფრთხოებისა და საგზაო მოძრაობის წესების  
საფუძვლების ცოდნის შემოწმება.

მონაწილეები ეჯიბრებიან საგამოცდო ბილეთებით ან „ვიატკა“  
ტიპის აპარტებით. საგამოცდო ბილეთებზე პასუხის მომზადებისათვის  
მონაწილეს ეძლევა 15 წუთი. მონაწილე, რომელიც ჩაეტევა გამოყო-  
30

ფილ დროში და ბილეთის ყველა საკითხზე გასცემს ხწორ პასუხს, და ბულობს დაწესებული რაოდენობის ქულებს. ერთი არასწორი პასუხს სათვის ქულების ნაწილი იხსნება, ხოლო ორ და მეტ არასწორ პასუხს ზე მონაწილეს ეწერება ნული ქულა, ბილეთები შეიცავს ათ საკითხს.

პირად ჩათვლაში გამარჯვებული მონაწილეები განისაზღვრება კონკურსის სამივე ეტაპში დაგროვილი ქულების ჯამით.

#### VI. კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება და წახალისება

სასკოლო კონკურსებში გამარჯვებულები ჯილდოვდებიან ჩემპიონის ლენტითა და წამახალისებელი პრიზით.

ჩაიონულ (საქალქო), ზონალურ და რესპუბლიკურ კონკურსებში გამარჯვებულები ჯილდოვდებიან:

I ადგილზე გამოსულები — ჩემპიონის ლენტით, I ხარისხის ღიპლომითა და წამახალისებელი პრიზებით;

II ადგილზე გამოსულები — II ხარისხის ღიპლომითა და წამახალისებელი პრიზებით;

III ადგილზე გამოსულები — III ხარისხის ღიპლომებითა და წამახალისებელი პრიზებით.

კონკურსის ყველა მონაწილე ჯილდოვდება სიგელებითა და სამახსოვრო სუვენირებით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგის  
1982 წლის 21 იანვრის გადაფიც თემი და ეპი

სახალხო განათლების სისტემის ქ. თბილისის სასკოლო და  
სკოლამდელი დაწესებულებების შენობათა არადამაკავყოფილებელი  
ტექნიკური მდგომარეობისა და გაუმჯობესების  
ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს,  
რომ ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს დაწესებულებარე-  
ბაში მყოფი სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების შენობათა  
ტექნიკური მდგომარეობას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო და საქართველო  
საბჭოს აღმასკომის შესაბამისი ტექნიკური სამსახურები არ ანხორციე-  
ლებენ სისტემატურ კონტროლს განათლების ობიექტების ტექნიკურ  
მდგომარეობაზე და გულგრილად ეკიდებიან მათი უსაფრთხო ექსპლოა-  
ტაციის საკითხებს, რამაც არსებული შენობები შეიძლება ავარიულ  
მდგომარეობამდე მიიყვანოს.

აღნიშნულის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ქ. თბილისის  
კალინინის რაიონის 58-ე საშუალო სკოლა ავარიულ მდგომარეობაში  
აღმოჩნდა და განათლების სამინისტრო იძულებული გახდა ამ სკოლის  
შენობის ერთ ნაწილში შეეწყვეტა მეცადინეობა მოსწავლეთა უბედური  
შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით.

განსაკუთრებით უნდა პლინიშნოს, რომ სენებული სკოლის ავა-  
რიულობის საკითხი განათლების სამინისტრომ ჯერ კიდევ 1981 წლის  
ოქტომბრის თვეში შეისწავლა ამ სკოლის გვერდით მცხოვრები მოქა-  
ლაქის მიერ შემოტანილი განცხადების საფუძველზე.

აკადემიკოს ქ. ზავრიელის სახელობის საქართველოს სსრ მეცნიე-  
რებათა აკადემიის სამსახურებლო მექანიკისა და სეისმომედიკობის ინს-  
ტიტუტის 1981 წლის 5 ოქტომბრის № 858 წერილის შესაბამისად  
აღნიშნული სკოლის შენობაზე უნდა ჩატარებულიყო მთელი რიგი ტექ-  
ნიკური ღონისძიებანი, რომლებსაც უნდა უზრუნველყოთ შენობის  
უსაფრთხო ექსპლოატაცია.

მიუწვდომად იმისა, რომ აკადემიის ინსტიტუტის დასკვნა დროუ-  
ლად გაეგზავნა ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს  
სათანადო ღონისძიებათა ჩატარებლად, მან, ისევე როგორც საქა-  
ლაქო საბჭოს აღმასკომის საინჟინრო სამსახურებმა, არ მიიღო ქმედი-  
თი ზომები 58-ე საშუალო სკოლის შენობაში ავარიული მდგომარეო-  
ბის თავიდან ასაცილებლად, რის გამოც სკოლის შენობის დეფორმა-  
ციები საგრძნობლად გაიზარდა და დღეისათვის სკოლის შენობა მწვავე  
ავარიულობამდე მიიყვანა. ამდენად, შეიქმნა აუცილებლობა იმისა, რომ  
შენობის ერთ ნაწილში სწავლება შეწყვეტილიყო.



განათლების ობიექტების მიმართ სუსტ ტექნიკურ კონტროლზე  
მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1981 წლამდე ქ. თბილისის სახალხო გა-  
ნათლების სამმართველომ არც ერთხელ არ დასვა საკითხი განათლე-  
ბის ობიექტების არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობის  
შესახებ. მხოლოდ განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული ტექნი-  
კური აღწერის შედეგად გამოიჩინა, რომ ქ. თბილისში 5 სასკოლო შე-  
ნობა იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში და სასწრაფოდ საჭიროებს  
სათანადო ტექნიკური ღონისძიებების ჩატარებას მათ აღსაღევნად.

კოლეგიაშ გადაწყვდნა:

1. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ (ამხ. ლ. ჩი-  
ქვანაია):

1. 1. განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები ქ. თბილისის სა-  
ხალხო განათლების ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის მკვეთრად  
გაუმჯობესებისათვის.

1. 2. ქ. თბილისში შენობათა კაპიტალური შეკეთებისათვის გამო-  
ყოფილი ასიგნებანი, პირველ რიგში, მოახმაროს ავარიული სკოლებისა  
და სკოლამდელი დაწესებულებების შენობათა აღდგენას.

1. 3. გააძლიეროს სამმართველოს საინჟინრო-ტექნიკური სამსა-  
ხური, რათა დროშე გამოავლინოს ექსპლოატაციაში მყოფი განათლე-  
ბის ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის გაუარესება და მათი შემ-  
დგომი ექსპლოატაციის შესაძლებლობა.

1. 4. სათანადო ტექნიკური ღონისძიებების ჩატარებამდე უზრუნ-  
ველყოს 58-ე საშუალო სკოლის შენობის უსაფრთხო ექსპლოატაცია და  
გაიყვანოს მოსწავლეები შენობის ავარიული ნაწილიდან.

2. ეთხოვოს ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს (ამხ. გ. გა-  
ბუნიას):

2. 1. საქალაქო საბჭოს აღმასკომის საინჟინრო სამსახურების მე-  
შვეობით ჩატაროს ქ. თბილისის განათლების ობიექტების სრული ტექ-  
ნიკური ინვენტარიზაცია მათი შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის  
თვალსაზრისით და მიიღოს ქმედითი ზომები ავარიული შენობების  
ტექნიკური მდგომარეობის სალიკვიდაციოდ.

2. 2. დაავალოს მის დაქვემდებარებაში მყოფ სამშენებლო ორგა-  
ნიზაციებს უმოკლეს ვადაში ჩატარონ 58-ე საშუალო სკოლის აღდგე-  
ნითი სამუშაოები საქალათველოს სსრ აკადემიის სამშენებლო მექანიკისა  
და სეისმომედეგობის ინსტიტუტთან შეთანხმებული პროექტის მიხედ-  
ვით.

კოლეგიის თავმჯდომარე,  
მინისტრი მ. ჩიხელაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო  
ტროს კოლეგიის 1982 წლის 21 იანვრის  
გადაწყვეტილებით

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
1982 წლის სოციალისტური

3 ა ლ დ ე პ უ ლ ე პ ა ზ ი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების განყოფილებებმა, სკოლებმა, სკოლამდელმა და სკოლისგარეშე დაწესებულებებმა, ხელმძღვანელობდნონ ჩა სკვე 26-ე და საქართველოს კვ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებებით, პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პროფგავშირული და კომგავშირული ორგანიზაციების, უწყებებისა და საწარმოების, აგრეთვე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აქტიური დახმარებით, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს 1981 წელს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

საგრძნობლად ამაღლდა ზოგადსაგანანათლებლო სკოლებში სწავლების ხარისხი, შეცილება მეორეწლიანობა და არასაპატიო მიზანით სკოლიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა, გადაჭარბებით შესრულდა მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა დღისა და საღამოს სკოლებში, სათანადო ყურადღება მიექცა მოსწავლეთა შრომით აღზრდასა და პროფორმინტაციულ მუშაობას, გაუმჯობესდა კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით სკოლების დაკომპლექტება.

განმტკიცდა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში 1981 წელს აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა 63 ახალი სასკოლო შენობა 26.996 მოსწავლის ადგილით, მათ შორის სოფლად — 53 სასკოლო შენობა 19882 მოსწავლის ადგილით. განათლების სისტემის ობიექტებზე ჩატარდა კაპიტალური და მიმღინარე რემონტი, სათანადო უყრადღება მიექცა ეზოების კეთილმოწყობის საქმეს. სკოლებმა, სკოლა-ინტერნაციებმა, საბავშვო სახლებმა და ბაგა-ბაღებმა შეიძინეს 16 მილიონ მანეთამდე ღირებულების ტექნიკური საშუალებები, თვალსაჩინოება, დფამ-ავეჯი, სასწავლო ავტომანქანები, ტრაქტორები, ჩარხები და დანადგარები.

სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს შეფარ ინგანიზაციებმა, რომლებმაც სკოლების საჭიროებისათვის დახარჯეს 5 მილიონამდე მანეთი.

გარკვეული ღონისძიებები გატარდა საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების საქმეში. მნიშვნელოვნად გაიზარდა მე-8 და მე-10 კლასის ღროულად დამთავრების მაჩვენებლებით

ბი (97,1% და 96,2% შესაბამისად), გახანგრძლივებული დღის სტაციონალებისა და ჯგუფების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა შესრულდა 105,9%.

1981 წლის 1 სექტემბრიდან თელავისა და ქ. თბილისის ლენინის რაიონების რიგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსამართულებელი ბელი კლასების მოსწავლები, ექსპერიმენტის სახით, გადაყვანილი არიან 5 დღიან სწავლებაზე. ამასთან, რიგ საბავშვო ბალებში შემოღებულია ექსპერიმენტის სწავლება.

გასულ წელს რესპუბლიკის 10 რაიონის 41 სკოლაში უცხოური ენების ნაცვლად ისწავლება ახალი ბერძნული ენა.

საანგარიშო პერიოდში საგრძნობი წინსვლა აღინიშნა შრომითი სწავლების საქმეში. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სათანადო ყურადღება მიექცა შრომითი სწავლებისა და აღზრდის. პირობების გაუმჯობესების საკითხებს. გასულ წელს ექსპლოატაციაში შევიდა კიდევ ერთი სასწავლო-საწარმოო კომბინატი, მნიშვნელოვნად განმტკიცდა შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საბაზო საწარმოებში გაიზარდა სასწავლო საამქროების რაოდენობა.

სოციალისტური ვალდებულებების შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო შრომაში ჩაბმას.

რესპუბლიკის სკოლების უფროსსკლასელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მე-3-შრომითს სემესტრში. 1981 წელს 4204 შრომითს ბრიგადასა და რაზმში გაერთიანებული იყო 163.000 მოსწავლე, მათ მიერ შესრულებულია 30 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამუშაო.

მე-11 ხუთწლედის პირველ წელს სახელმძღვანელოებით უფასოდ სარგებლობაზე გადაყვანილი არიან რესპუბლიკის ყველა ტიპის ზოგად-საგანმანათლებლო სკოლის მოსამართებელი — მეშვიდე კლასების მოსწავლეები. საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა-თვეს გამოიცა 137 დასახელების სახელმძღვანელო 4 მილიონამდე ტირი-რაჟით; 14 საგანში მომზადდა 23 დასახელების სასწავლო პროგრამა საერთო ტირაჟით 535,0 ათასი ცალი, ფერადი სახელმძღვანელოების რიცხვი გაიზარდა 24 დასახელებამდე.

გარკვეული წარმატებებია მილწეული გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობაში, გაუმჯობესდა აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო, სანიტარულ-პიგიენური პირობები, კვების ორგანიზაცია, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაგრძისა და ფორმები. 15,9%-მდე გაიზარდა აღნიშნული ტიპის ღაწესებულებებში მოსწავლეთა ჩაბმის მაჩვენებელი.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული სკოლების კეთილმოწყობილი ბუფეტებითა და სასაღილო-

ებით უზრუნველყოფის საქმეში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მომარაგება.

სათანადო ყურადღება მიექცა სკოლიდან 3 და მეტი კილომეტრით დაშორებული ადგილებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების საკითხს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები სრული პასუხისმგებლობით მოეკიდნე ახალგაზრდა მასწავლებელთა კადრების განაწილების საკითხს. 1981 წელს სკოლებსა და სხვა ბავშვთა დაწესებულებებში განაწილდა 1120 ახალგაზრდა სპეციალისტი. გადაჭარბებით შესრულდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების გეგმა — ამ სახის კურსები გაიარა 15.900 მუშავემა.

1982 წელი — მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წელი — რომელიც სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისა და საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის ღირსეულად შეხვედრის ნიშნით უნდა წარიმართოს, ჩვენი ორგანიზაციის სახალხო განათლების სისტემის მუშავთა წინაშე მნიშვნელოვან ამოცანებს აყენებს. ხელმძღვანელობენ რა სკკ 26-ე და საქართველოს კკ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებებით, სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეუნევის მიერ საბჭოთა კავშირის 26-ე ყრილობაზე მოცემული მითითებებით, რომლებიც სახალხო განათლების შემდგომი განვითარების ნათელი პროგრამა და კონკრეტული სამოქმედო დებულებებია, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის მუშავები იღებენ შემდეგ სოციალისტურ გალდებულებებს:

— ორგანიზებულობის, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის განუხრელი ამაღლების საფუძველზე, ფართოდ და ღროულად გაშალონ „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანობისა და დაწესებულებების მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის“ სოციალისტური შეჯიბრება; ამ საქმეში ფართოდ ჩააბან სახალხო განათლების სისტემის ყველა მუშავი, შეფი ორგანიზაციები;

— ყოველმხრივ გააანალიზონ და თვითკრიტიკულად შეაფასონ ჩატარებული მუშაობის შეწევები. მეტი შეუპოვრობა და მიზანსწრაფულობა გამოიჩინონ მოზარდი თაობის სწავლებასა და აღზრდაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის საქმეში. აამაღლონ პედაგოგიური კადრების აქტივობა და პერსონალური პასუხისმგებლობა დასახული ამოცანების გადაჭრისათვის;

— საქართველოს სსრ განათლების სისტემის ყველა რგოლში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გამლით მიაღწიონ ეფექტიანობის ამაღლებას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას;

— საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის



სრულად განხორციელების მიზნით ზუსტად აღრიცხვონ სასკოლო უცნაურობის კის ყველა პარშევი და მოზარდი, ერთიანი სახელმწიფო გეგმის შესაბამისად, საშუალო განათლების მისაღებად, ყველა ფორმით სწავლებაში ჩააბან რვაკლასტრამთავრებულთა 100,0 პროცენტი.

— უზრუნველყონ 16-29 წლის ასაკის იმ მომუშავე ახალგაზრდების დროული აღრიცხვა, რომლებსაც არა აქვთ რეაწლიანი და საშუალო განათლება, იმ ვარაუდით, რომ რესპუბლიკის საღამოსა და დასაწრებულ-დაუსწრებელ სკოლებში ჩააბან 60 ათასზე მეტი ახალგაზრდა;

— 1982—1983 სასწავლო წლისათვის დღის სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში სწავლებაში ჩააბან 885,0 ათასამდე მოსწავლე, სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში — 2,8 ათასამდე მოსწავლე, საბავშვო სახლებში — 2,3 ათასამდე აღსაზრდელი, სასკოლო ინტერნატებში — 5 ათასამდე ბავშვი;

— იზრუნონ განაგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელის შემდგომ განვითარებაზე, მათში მოსწავლეთა რაოდენობა გაზიარდონ — 126,0 ათასამდე;

— გაატარონ ქმედითი ღონისძიებები სკოლიდან 3 და მეტი კილომეტრის დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა უფასო ტრანსპორტით სარგებლობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის;

— გადამჭრელი ზომები მიიღონ მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ობიექტების ქსელის გაზრდისა და გაუმჯობესებისათვის;

— განასაკუთრებული ყურადღება გამახვილონ ინტერნატული ტიპის /დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფაზე, მათი მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით დროულად და ხარისხიანად ჩაატარონ სათანადო საპროექტო, მიშენებითი და სარემონტო სამუშაოები;

— გააუმჯობესონ მოსწავლეთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობა, მათი დასვენების ორგანიზაცია;

— განამტკიცონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შრომით აღზრდისა და სწავლების მატერიალური ბაზა. 1982 წელს უზრუნველყონ 3 სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატის გახსნა! იზრუნონ სასწავლო დაწესებულებების დანადგარებითა და ხელსაწყობით, მასალითა და ავეჯით მომარაგების გაუმჯობესებისათვის;

— გააძლიერონ განათლების ორგანოების ხელმძღვანელობა და კონტროლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობისადმი სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთიანი პედაგოგიური მოქმედების უზრუნველსაყოფად;

— სათანადო ყურადღება დაუთმონ მშობელთა საზოგადოებების შექმნას რესპუბლიკის დიდ ქალაქებსა და რაიონებში;

— უზრუნველყონ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების როლის ამაღლება, ხელი შეუწყონ პიონერთა და მოსწავლეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური

და შრომითი საქმიანობის აქტივიზაციას, საზოგადოებრივ-სასარგებლობის შრომაში მათ ჩაბმას;

— გაუმჯობესონ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა; იზრუნონ იმისათვის, რათა თითოეული მოსწავლე განდეს მშო ნიშნოსანი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურულთა რაოდენობა გაზარდონ 450,0 ათასამდე, ხოლო სპორტსმენ-თანრიგოსნებისა — 115,0 ათასამდე;

— ჩამოაყალიბონ ოლიმპიური რეზერვების ცენტრები ჭიდაობასა და ხელშურთში, ფრენბურტისა და ნიჩბოსნობაში;

— იზრუნონ ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტული სკოლების სპორტული ბაზების კეთილმოწყობაზე, სათანადო ინვენტარით მათ უზრუნველყოფაზე;

— გაატარონ ქმედითი ღონისძიებები სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის სასწავლო-საცდელი ნაკვეთების გაზრდისა-თვის;

— სრულყონ სასკოლო სატყეოების მუშაობა; ფართოდ გაშალობ სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა;

— შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები სკოლამდელთა და სკოლის ასაკის მოსწავლეთა შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისაღმი კომუნისტური დამოკიდებულებისა და ეკონომიკისა და მომჭირნეობის სულისკვეთებით აღზრდისათვის;

— გააძლიერონ მუშაობა უსაფრთხოების ტექნიკის, შრომის დაცვის, ბავშვთა ტრავმატიზმის თავიდან აცილების, შრომის კანონმდებლობის ნორმების შესრულების მიზნით;

— მოწინავე ჰედაგოგიური გამოცდილების განზოგადება-გავრცელების, სკოლების ხელმძღვანელთა და კვალიფიკაციის ამაღლების, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკის მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური და ზონალური ინსტიტუტების ბაზებში გეგმის შევით გადამზადონ 100-ზე მეტი მასწავლებელი;

— სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით, კაბიტალური მშენებლობის ხაზით, უზრუნველყონ სკოლების მშენებლობა 18,0 მოსწავლე ადგილზე, მასწავლებელთა საცხოვრებელი ბინებისა და სასკოლო ინტერნატების ფართობის 3.3000 კვ. მ. გაზრდით;

— პირველი ივლისისათვის შოამშალონ 128 დასახელების სასკოლო სახელმძღვანელო 3 მილიონ ნახევარზე მეტი ტირაჟით, ხოლო წლის ბოლომდე უზრუნველყონ 48 დასახელების მეთოდური და თვალსაჩინო-დიდაქტიკური ლიტერატურის გამოცემა მასწავლებელთა დასახმარებლად; ამაღლონ სახელმძღვანელოების გამოცემის პოლიგრაფიული დონე; გაზარდონ ფერადი სახელმძღვანელოების რიცხვი 35 დასახელებამდე;

— რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-8 და



მე-9 კლასების მოსწავლეები გადაიყვანონ სახელმძღვანელოებით უფასოდ სოდ სარგებლობაზე, გამომდინარე სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან „ზოგადსაგანმა-ნათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასოდ სარგებლობაზე გადაყვანის შესახებ“;

— განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები, რათა ყველა მო-სწავლეს ღრმად ჩაუნერგონ წიგნის კითხვის, სახელმძღვანელოების მოვლა-პატრიონობის ჩვევები, იზრუნონ სკოლების საბიბლიოთეკო ფონდის გაზრდისათვის;

— ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სა-მეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა მოამ-ზარონ მონოგრაფიები, მოაწყონ გამსვლელი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები სწავლების ხარისხის ამაღლების, შრომითი აღზრდის გაუმჯობესების, მოსწავლეთა შემოქმედებითი და დამოუკიდებელი აზ-ორვნების განვითარების საკითხებზე;

— პრაქტიკული დახმარება გაუწიონ სახალხო განათლების ადგი-ლობრივ ორგანოებს ორგანიზატორული მუშაობისა და მართვის, ში-ნასასკოლი კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, პარ-ტიისა და მთავრობის დირექტივების, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების ბრძანებებისა და მითითებების გა-ნუხრელად შესრულების საქმეში;

— აამაღლონ მომთხოვნელობა სამინისტროს პარატში, სახალხო განათლების აღგილობრივ ორგანოებში, სკოლებსა და სხვა დაქვემდე-ბარებულ დაწესებულებებში მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წერილების დადგენილი წესების დაცვისადმი, დასმული საკითხების განხილვისა და დროულად გადაწყვეტისადმი;

— გაატარონ პრაქტიკული ღონისძიებები განათლების სამინის-ტროს სისტემის ყველა რგოლში საშემსრულებლო დისციპლინის გან-მტკიცებისათვის;

— განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებს შო-რის ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სახალხო განათ-ლების წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშაკებს მტკიცელ აქცთ გადაწყვეტილი სახალხო განათლების დარგში გაშლილი სოცია-ლისტური შეჯიბრება გახადონ სკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა და მეთერთმეტე ხუთწლედის დავალე-ბების რეალიზაციის დიდმნიშვნელოვან რგოლად, იბრძოლონ ზოგად-

საგანმანათლებლო სკოლაში ლენინური პრინციპების საფუძველზე ქართველი ლეგენდის ხარისხის შემდგომი ამაღლების, შრომითი აღმზრდისა და მოსახლეობის წავლეთა პროფესიული ორიენტაციის საყოველთაო-საგალდებულო სა-შუალო განათლების კანონის განხორციელების, კომუნისტური საზოგად-დოების აქტიური მშენებელი თაობის აღმზრდისათვის, ძალ-ლონე და ენერგია არ დაზოგონ აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა განუხ-რელად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

### სკოლების სამმართველო



სკკპ 26-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 26-ე  
ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქჩე ქართული ენისა და  
ლიტერატურის სწავლების აქტუალური საკითხებისადმი  
მიძღვნილი მე-2 რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური  
კონფერენციის ჩატარების შესახებ

ალინიშვნა, რომ საბჭოთა კავშირის კომოუნისტური პარტიის 26-ე  
ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობამ უმნიშვნელოვანების ამოცანები დაუსახეს სკოლას სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლების, მოსწავლეთა შრომითი და ზნეობრივი აღზრდის საქმეში.

ამ ამოცანების თანამედროვე მოთხოვნათა ღონიშე გადაწყვეტაში დიდ როლს ასრულებს მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება. ეს გარემოება კარგად აქვთ შეგნებული რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებს, სახალხო განათლების ორგანოებს, მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს. ისინი ქმედით ღონისძიებებს ატარებენ „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის დადგენილებისა და მის შესასრულებლად რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგიის იმავე წლის 19 ივლისის გადაწყვეტილების განსახორციელებლად.

მიუხედავად ამისა, განათლების სამინისტროს კოლეგია საჭიროდ თვლის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა გაძლიერებას. აუცილებელია, მეტი ადგილი დაეთმოს ამ საგნების სწავლების საკითხებზე მომუშავე მეცნიერ-მეთოდისტთა და მოწინავე პრაქტიკოს მასწავლებელთა ურთიერთანაბმრომლობას და სწავლების მეთოდიკის აქტუალური საკითხების შესწავლას.

ამის გათვალისწინებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1981 წლის 17 დეკემბერს მიიღო დადგენილება (№ 850) ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების აქტუალურ საკითხებზე რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის ჩატარების შესახებ, რომლის შესასრულებლად კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქჩე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების აქტუალური საკითხები-სადმი მიძღვნილი მე-2 რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია ჩატარდეს მიმდინარე წლის 13 დეკემბერს.

2. დამტკიცდეს სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:
- ქინქლაძე ოთარი (თავმჯდომარე)  
ბურლილაძე ზურაბი  
გაბეჩავა როზა  
გოგელია არჩილი  
გულდამაშვილი ეთერი  
დვალი სერგო (პასუხისმგებელი მდივანი)  
თაბორიძე მარიამი  
კვაჭანტირაძე თამაზი  
ლორთქიფანიძე დავითი  
მაჭარაშვილი კარლო  
საყვარელიძე გიორგი (თავმჯდომარის მოაღილე)  
ქურციკიძე ენგური  
შველიძე ნიკო
3. გამოიცეს რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის მასალების კრებული 20 თაბაზის მოცულობით.
- მიღებულ იქნას ცნობად, რომ კრებულის გამოცემის ხარჯებს გაიღებს პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭო.
4. დაევალოს საორგანიზაციო კომიტეტს:
- მიმღინარე წლის 1-ლ მარტამდე შემუშაოს კომიტეტის სამუშაო გეგმა და კონფერენციის დღის წესრიგი;
  - უზრუნველყოს კონფერენციის ჩატარებისას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე გამოცემული სამეცნიერო-მეთოდიკური, სახელმძღვანელო და დამხმარე ლიტერატურის, სწავლების ტექნიკური საშუალებათა და სხვა მასალების გამოფენის მოწყობა;
  - მიიღოს ზომები რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის მასალების კრებულის დასაბეჭდად.

კოლეგიის თავმჯდომარე,  
მინისტრი მ. ქინქლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის  
1982 წლის 4 თებერვლის გ 1 დ ფ ც ე ტ ი ლ ე პ ა

საქართველოს  
მთავრობის  
მინისტრის

ქ. ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშობლიური  
ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის სწავლების მდგომარეობისა  
და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ ქ. ქუთაისის სახალხო განათლების გან-  
ყოფილებას (ამხ. ვ. ყავლაშვილი) და მის მეთოდურ კაბინეტს (ამხ.  
ლ. კაცაბაძე) გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული საქართველოს  
კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინის-  
ტროს საბჭოს 1979 წლის აპრილის დადგენილებისა და შესაბა-  
მისი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის  
გადაწყვეტილების შექმე ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული  
ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სა-  
მინისტროს 1980 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების შესაბამისად  
მათემატიკის სწავლების სათანადო ღონებზე დაყენებისათვის; რის შე-  
დეგადაც ქალაქის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ზემონსე-  
ნებული საგნები დამაკაყოფილებად ისწავლება. მასწავლებელთა ერ-  
თი ნაწილი კარგად ფლობს სწავლების მეთოდებსა და ხერხებს და  
ეფექტიანად იყენებს მოსწავლეების მეცნიერებათა საფუძვლების ცოდ-  
ნით შეიარაღების, კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

ამასთან, როგორც ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებასა და  
მეთოდურ კაბინეტს, ისე მათ დაქვემდებარებაში მყოფ ლენინისა და  
საქართველო რაიონების განათლების განყოფილებებსა და შესაბამის მე-  
თოდურ სამსახურებს მუშაობაში ახასიათებთ სერიოზული ხარვეზები;  
ისინი ღრმად და საფუძვლიანად ვერ წვდებიან სკოლის წინაშე მდგარ  
სერიოზულ პრობლემებში, ეფექტიან კონტროლსა და დახმარებას ვერ  
უწევენ მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის მასწავლებ-  
ლებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელებს, რის შე-  
დეგად მასწავლებელთა უმრავლესობა ვერ ერკვევა თანამედრო-  
ვი გაკვეთილისადმი წაყენებულ მოთხოვნებში, გაკვეთილებს ატარებს  
ძველებურად, უინტერესობა, მოსაწყვნად, ნაკლებად ცდილობს მოსწავ-  
ლეთა აქტიური შემცნებითი ძალების განვითარებისა და დამოუკიდე-  
ბელი, შემოქმედებითი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის;  
გაკვეთილებზე არ შეინიშნება შეგნებული სამუშაო დისციპლინა, სას-  
წავლო მუშაობის სწორად ორგანიზებისათვის ზრუნვა, არ არის შე-  
ქმნილი მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების კონტროლის მოქ-  
ნილი სისტემა. მასწავლებლები ატარებენ გაჭიანურებულ გამოკითხვას,  
მოსწავლეთა დიდი ნაწილი კი ყურადღების გარეშე რჩება. გაკვეთილზე  
არ ჩანს ასახსნელი მასალის მოცულობა და შინაარსი, არ იქმნება პრობ-  
ლემური სიტუაციები. მასწავლებლები სასწავლო პროცესში ნაკლებად

იყენებენ ტექნიკურ საშუალებებსა და თვალსაჩინოებას, საჭირო ყუ-  
რადღებას არ უთმობენ განმავითარებელი სწავლების ფართზე და სა-  
სრულყოფილად, დანერგვას, გაკვეთილებზე ისეთი პირობების შექმნას,  
რომ მოსწავლეებმა იფიქრონ, დამოუკიდებლად იაზროვნონ, იმსჯე-  
ლონ, გაკეთონ დასკვნები.

სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა საშინაო დავალების რევუ-  
ლების შემოწმებას, დაშვებული შეცდომების გასწორებაზე მუშაობას;  
საკლასო და საკონტროლო წერისათვის მზადებას. საქმე იქამდეც კი  
მიღის, რომ მოსწავლეებს წინასწარ, საშინაო დავალების რევულებში  
აწერინებენ ერთ ან ორ თემას, ამოცანას და მაგალითს, წაიკითხვენ,  
შეასწორებენ და მომდევნო გაკვეთილზე გადააწერინებენ საკონტრო-  
ლო წერის რვეულებში.

საქმისადმი ამგვარი ფორმალური დამოკიდებულება მოსწავლეებს  
უბიძებს „მპარგალკებისაკენ“, უწლუნებს გონებას, ართმეცს დამოუ-  
კიდებელი აზროვნებისა და მსჯელობის უნარს, მათი ცოდნის ლიბერა-  
ლურად შეფასება კი ხელს უწყობს მოსწავლეთა და მშობელთა გარევე-  
ული ნაწილის პროფესიულ და მორალურ დეზორინტაციას, ხელოვნუ-  
რად ზრდის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის პრეტენდენტთა რიცხვს  
იმათ ხარჯზე, ვინც ამისათვის არ არის მომზადებული.

ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგებმა ზემოთქმული  
მთლიანად დაადასტურა და ნათელი განხადა ქუთაისის სკოლების კურს-  
დამთავრებულ ოქროს მედლის კანდიდატთა სისტემატური წარუმატებ-  
ლობის მიზანები.

განათლების განყოფილებები და მეთოდკაბინეტები არაკომპენ-  
ტებურად უძლევებიან საგნების სწავლებას, ეს იმითაც არის გაპირობე-  
ბული, რომ ქუთაისის ლენინის რაიონის განათლების განყოფილებას  
ფორმალურად ყავს მეთოდისტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მას,  
გარდა აღნიშნული საგნისა, აღმზრდელობითი მუშაობის კურირება აქვს  
დაგვალებული და, რა თქმა უნდა, ვერ გაართმევს თავს დაკისრებულ მო-  
ვალეობას. რაც შეეხება საქართველო რაიონს, მას არც ინსპექტორი ყავს  
და არც მეთოდისტი მათემატიკაში. განათლების განყოფილებებისა და  
სკოლების პედაგოგიურ საბჭოებზე არაფერი თქმულა იმის შესახებ, თუ  
როგორ მუშაობენ მასწავლებლები საბჭოთა სკოლაში დამკვიდრებული  
სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების ტრადიციი-  
ული მეთოდებისა და ხეობების მოდერნიზების, სწავლების ეფექტიან  
გზებისა და საშუალებების ძიების, მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუ-  
შაობის უნარ-ჩვევების გამომუშავების, მათი მათემატიკური აზროვნე-  
ბის, ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის,  
გვერდი აქვს ავლილი იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ამ საქმეში გააჩ-  
ნიათ შესაბამის სარაიონო და სასკოლო მეთოდგაერთიანებებს. მიღე-  
ბულ დადგენილებებში არ არის გათვალისწინებული დასახული ღო-  
ნისძიებების შესრულების შემოწმება. ბოლო წლებში განათლების რო-

გორც საქალაქო, ისე რაიონულ განყოფილებებში არ დაინტერესებულან რუსულ სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის უცნობელებებით.

ქალაქში დღემდე არაა შექმნილი საბაზო სკოლები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში! სათანადო ყურადღება არ ექცევა სასწავლო კაბინეტების მოწყობას მშობლიურ ენა-ლიტერატურასა და მათემატიკაში (№№ 3, 4, 7, 12, 19, 32 საშუალო სკოლები), 1979 წლის 10 აპრილიდან ქალაქის სკოლების 50 ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტისა და 5 კლას-კაბინეტის აღჭურვისათვის დახარჯულია ძალშე ცოტა თანხა, რაც ამ საქმით განათლების განყოფილებებისა და მეთოდკაბინეტების ხელ-მძღვანელთა დაუინტერესებლობაზე მიუთითებს.

თითქმის არავითარო ყურადღება არ ექცევა ატესტაციის შედეგად რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობას, არ იგრძნობა ზრუნვა მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. ქ. ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილების გამეომ ამნ. 2. ყავლაშვილმა, მეთოდგაბინეტის გამეომ ამნ. ლ. კაკაბაძემ:

1. 1. ქალაქის, ლენინისა და საქართველოს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების აპარატის, შესაბამისი მეთოდგაბინეტების მუშაკთა და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობა წარმართონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის № 232 დადგენილების „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1980 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ წარმატებით რეალიზებისათვის.

1. 2. აამაღლონ სახალხო განათლების განყოფილებათა ორგანიზაციორული ხელმძღვანელობის დონე, მეთოდგაბინეტების მუშაობის ეფექტიანობა, სისტემატური კონტროლი დაწესონ სკოლებში მიმღინარე სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე, გაზარდონ მასწავლებელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხზე, მათ იდეურ-პოლიტიკურ, შენეობრივ აღზრდაზე.

1. 3. სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ძალთა მობილიზებით მიაღწიონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფას, იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რომლებიც გააჩნიათ მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის სწავლების საქმეში. ამ მიზნით გამოიყენონ აღნიშნული და სხვა საგნების მასწავლებელთა მუშაობაში არსებული ყველა რეზერვი.

გააძლიერონ მშობლიური ენა — ლიტერატურისა და მათემატიკის  
სწავლების იდეურ-თეორიული და პრაქტიკული მიმართულება, მიაღწია  
წიონ საგანთაშორისი კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებას, თითოეული  
მასწავლებლის მიერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
ნორმატულ დოკუმენტებსა და, რეკომენდაციებში მოცემულ მითითებათა  
განუხროლ შესრულებას.

ასწავლონ მასწავლებლებს ამა თუ იმ გაკვეთილის მიზნებიდან და  
სპეციფიკიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის წარმართვისათვის  
საჭირო მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების შერჩევა, არ დაუშვან სასწავლო დროის უქმად ხარჯვის შემთხვევები.

1. 4. სკოლების პედაგოგიური კოლეგტივების საქმიანობა მიმართ  
თონ მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის სწავლების  
სრულყოფისაკენ. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოსწავლეების  
ში ორთოგრაფიული და პუნქტუაციური უნარ-ჩვევების ფორმირებას,  
ფილოლოგიური და მათემატიკური წიგნიერების ამაღლებას.

1. 5. მ. მეთოდური სამსახურებისა და მოწინავა მასწავლებელთა ძალების  
აქტიური გამოყენებით მიაღწიონ საკონტროლო წერისათვის  
მომზადებისა და ჩატარების, დაშვებული შეცდომების გასწორების მე-  
თოდების სრულყოფას, საკლასო წერებისა და საშინაო დავალებათა  
ეფექტიანობის ამაღლებას.

1. 6. გაზარდონ სკოლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სა-  
სწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობაზე, თითოეული გა-  
კვეთილის მაღალეფებითიანობის უზრუნველყოფაზე, საგნის მასწავლე-  
ბელთა მიერ სწავლების ტექნიკურ და სხვა საშუალებათა კომპლექსურ  
და რაციონალურ გამოყენებაზე, ისეთი ხერხებისა და მეთოდების მო-  
მარჯვებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა მიერ მეცნიე-  
რებათა საფუძვლების ღრმა და მტკიცე ცოდნის დაუფლებას.

1. 7. დააჩქარონ მუშაობა ქ. ქუთაისში ქართული ენისა და ლი-  
ტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის საბაზო  
სკოლების შესაქმნელად, ქალაქის ყველა სკოლაში აღნიშნულ საგნება-  
ში თვალსაჩინოებით, დიდაქტიკური მასალებითა და სწავლების ტექნი-  
კური საშუალებებით კარგად აღჭრუვილი სასწავლო კაბინეტ-ლაბორა-  
ტორიების მოსაწყობად.

1. 8. სისტემატურად იზრუნონ მასწავლებელთა კვალიფიკაციის  
ამაღლებაზე, ატესტაციის შედეგად რეკომენდაციამიცემულ მასწავლებ-  
ლებთან მუშაობის გაუმჯობესებაზე. ამ საქმეში უფრო აქტიურად გა-  
მოიყენონ ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის შე-  
საძლებლობანი.

1. 9. მიაღწიონ სასკოლო, რაიონული და საქალაქო მეთოდგაერ-  
თიანებათა მუშაობის მწყობრი სისტემის შექმნას, მათი საქმიანობის  
წარმართვას აქტუალურ, საპრობლემო საკითხებზე ყურადღების გამა-  
ცვილებით.

1. 10. მოაწყონ კოლეგიის გადაწყვეტილებებისა და სკოლების სამმართველოს ცნობის ფართო განხილვა, მყარად იმსჯელონ შემდგრად აღნიშნულ ნაკლოვანებებზე, იმ მასწავლებლებსა და სკოლის ხელმძღვანელებზე, რომელნიც თავს ვერ ართმევენ დაკისრებულ მოვალეობას! იზრუნონ სკოლების მეთოდგაბინეტისა და განათლების განყოფილებების მაღალკვალიფიციური, გამოცდილი მუშაკებით შევსებაზე.

1. 11. მიმღინარე წლის 1 ნოემბრისათვის კოლეგიას წარმოუდებინონ ინფორმაცია აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ჩატარებული მუშაობის შედეგებზე.

2. სკოლების სამმართველოს რესპუბლიკურმა მეთოდურმა ცენტრ-მა (ამბ. გ. როგავა) მომარაგების მთავარ სამმართველოსთან ერთად (ამბ. კ. ძლიერიშვილი) დააზუსტოს ოვალსაჩინოებით, დიდაქტიკურმასალებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის მასწავლებელთა უზრუნველყოფის მდგომარეობა, მანვე სასწავლო მიაწოდოს ქ. ქუთაისის სკოლებსა და სახალხო განათლების ორგანოებს მეთოდიკური რეკომენდაციები — როგორ მოაწყონ სასწავლო კაბინეტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ისეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა მოაწყონ კოლეგიის ამ გადაწყვეტილებისა და სკოლების სამმართველოს ცნობის ფართო განხილვა კოლეგიებზე, სახალხო განათლებისა და სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, მიიღონ ზომები მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენისა და აღმოფხრისათვის.

4. აღნიშნული გადაწყვეტილება და სკოლების სამმართველოს ცნობა დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

5. სკოლების სამმართველომ (ამბ. კ. სუჯაშვილი) ინფორმაცია ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმღინარეობაზე კოლეგიას წარმოუდგინოს 1982 წლის 1 ნოემბრისათვის, მანვე დააწესოს კონტროლი მის განხილვისათვის.

კოლეგიის თავმჯდომარე,  
მინისტრი მ. პირიძე



ქ. ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშობლიური საბუღალო  
ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის სწავლების  
მდგომარეობის შესახებ

გასული წლის ოქტომბერში განათლების სამინისტროს ბრიგადაში  
შეისწავლა ქ. ქუთაისის სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატუ-  
რისა და მათემატიკის სწავლების, აგრეთვე ამ საქმეში განათლების გან-  
ყოფილების საქალაქო და რაიონული ორგანოების მიერ სკოლებშე/  
ხელმძღვანელობის მდგომარეობა.

შემოწმების მიზანი იყო იმ მიზეზების დადგენა, რომელთა გამოც  
ბოლო წლებში ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურს-  
დამთავრებულები გამოსაშევბ გამოცდებზე ვერ ავლენენ მტკიცე/  
მკვიდრ, საფუძვლიან ცოდნას აღნიშნულ საგნებში, ამ მიზეზების ანა-  
ლიზი და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით აღგილებზე  
პრაქტიკული დაქმარების გაწევა.

როგორც შემოწმებამ ცხადყო, ქ. ქუთაისის განათლების განყოფი-  
ლებას (გამგე ვ. ყავლაშვილი), მის მეორედურ კაბინეტს (გამგე ლ. კა-  
კაბაძე), ქუთაისის ლენინისა და საქართვო რაიონების განათლების  
განყოფილებებს (გამგები ლ. გეგუჩაძე, გ. ფრუბაძე), მთას მეთოდ-  
კაბინეტებს (გამგები დ. ბერიძე, მ. ჯიქია), 1-ლ (დირექტორი ი. გენ-  
გებაძე), მე-2 (დირექტორი ა. სანდუხაძე), მე-3 (დირექტორი თ. და-  
ხუნდარიძე), მე-4 (დირექტორი ც. კეჭევაძე), მე-7 (დირექტორი  
დ. ფაჩუაშვილი), მე-12 (ყოფილი დირექტორი ე. თავაძე), მე-19 (დი-  
რექტორი ი. კიკალიშვილი), 23-ე (დირექტორი მ. გურგენიძე), 32-ე  
(დირექტორი ა. გვაზავა), მე-9 (დირექტორი ლ. ფედიანინა), მე-10  
(დირექტორი ა. თომჩიაშვილი), მე-13 (დირექტორი ო. ტოვონიძე),  
მე-14 (დირექტორი ვ. შალამბერიძე) საშუალო სკოლებს გარკვეული  
მუშაობა აქვთ ჩატარებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური  
კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპ-  
რილის № 232 დადგენილებისა და განათლების სამინისტროს კოლე-  
გის შესაბამისი გადაწყვეტილების შექმნა ქართული ენისა და ლიტე-  
რატურისა და რუსული ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე საქართვე-  
ლოს სსრ განათლების სამინისტროს 1980 წლის 24 იანვრის გადა-  
წყვეტილების შესაბამისად მათემატიკის სწავლების მაღალ დონეზე  
დაყვენებისათვის.

ქალაქის განათლების განყოფილებას განათლების საბჭოს სხდო-  
მაზე 1979 წლის 30 ნოემბერს (ოქმი № 3) განუხილავს საკითხი „ქუ-  
თაისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლი-  
ტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ საქართველოს კპ ცენ-  
ტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1979“



წლის აპრილის დადგენილებისა და შესაბამისად საქართველოს  
სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის 19 ივლისის კოლე-  
გის გადაწყვეტილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკო-  
ლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის  
გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შუქჟე, 1980 წლის 27 დე-  
კემბრის საბჭოს სხდომაზე (ოქმი № 4) კი მოსმენილია საკითხი „ლი-  
ტერატურის სწავლება იდეური აღზრდის სამსახურში“.

ეს საეტაპო ღოკუმენტები და მათ შუქჟე ქართული ენისა და ლი-  
ტერატურის სწავლების მიმღინარეობის მდგომარეობა განხილულია  
ავტოქარხნისა და ლენინის სახელობის რაიონების განათლების განყო-  
ფილებების მეთოდური საბჭოებისა და შესწავლილი სკოლების პედა-  
გოგიური საბჭოების სხდომებზე. ასევე, ზემოაღნიშნული ღოკუმენტე-  
ბის შუქჟე რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიმღინარეო-  
ბის საკითხი განხილულია შემოწმებული რუსული სკოლების პედსაბ-  
ჭოს სხდომებზე.

საქართველოს კაც ცენტრალური კომიტეტისა და რესუბლიკის მი-  
ნისტრთა საბჭოს 1979 წლის აპრილის დადგენილება და მის შუქჟე რაიონის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავ-  
ლების მდგომარეობის საკითხი მსჯელობის საგანი გახდა ქუთაისის  
ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს აღმასკომის 1980 წლის  
6 იანვრის სხდომაზე.

ოქმებში დამაკმაყოფილებლად არის გაანალიზებული ამ საგნების  
სწავლებაში მოპოვებული წარმატებები და არსებული ნაკლოვანებანი.  
აღნიშნულია, რომ ვერ კიდევ დაბალია მოსწავლეთა ერთი ნაწილის  
ცოდნის დონე, მათი ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა, არ  
სწორდება საშინაო და საკონტროლო წერებში დაშვებული შეცდომე-  
ბი, არ ხდება მათი გაცნობიერება მოსწავლეთა მიერ. მითითებულია,  
რომ ზოგიერთი მასწავლებელი სათანადოდ არ მუშაობს სწავლების  
პროცესის გააქტიურებისათვის, მოსწავლეთა მიერ მიღებული თეორი-  
ული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ჩვევად გადაქცევისათვის, სწავ-  
ლებისა და აღზრდის ორგანული ერთიანობის მიღწევისათვის, სასწავ-  
ლო კაბინეტის აღჭურვის, სასწავლო-ტექნიკური საშუალებების, თვალ-  
საჩინოების სწავლებაში გამოყენებისათვის, მიღებულია შესაბამისი  
დადგენილება-გადაწყვეტილებანი.

განათლების განყოფილებები და მათი მეთოდური კაბინეტები ყუ-  
რადღებით ეკიდებიან ამ საგნების მასწავლებელთა თეორიული ცოდ-  
ნის ამაღლებას, ამ მიზნით, ლენინის რაიონის განათლების განყოფი-  
ლების ინიციატივით, 1980—1981 წლებში ჩატარებულია 3 ლექცია:  
1. „მასწავლებლის ხელოვნება, ტაქტი და ავტორიტეტი“, 2. „მართლ-  
წერისა და მართლმეტყველების კულტურის აღზრდა“. 3. „ქართული  
კლასიკოსები და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები“. ქა-  
ლაქის განათლების განყოფილებამ კი 1980—1981 სასწავლო წელს

მასწავლებლის დღეს მიუძღვნა ლიტერატურული კვირეული, ხოლო მიმღინარე სასწავლო წლის სექტემბერში ჩატარდა ლიტერატურული ერთვიური, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის, ისე რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა.

მეთოდური სამსახურის მუშაკები ახალგაზრდა მასწავლებლებს უტარებენ კონსულტაციებს და ასწრებენ გამოცდილ მასწავლებლებს გაკვეთილებზე, ესწრებიან სასკოლო მეთოდური გაერთიანებების სხდომებს.

ქალაქის განათლების განყოფილება და მისი მეთოდური კაბინეტი გარკვეულ ღონისძიებებს ატარებენ მათემატიკის სწავლების საქმის გაუმჯობესებისათვისაც, უკანასკნელ წლებში სისტემატურად ტარდება სამცენიერო-მეთოდური კონფერენციები მათემატიკის სწავლების საკითხებზე, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრა და მასწავლებელთა დახელვნების ინსტიტუტი, ტარდება, აგრეთვე, ამ საგნის მასწავლებელთა ერთვიურები. გარკვეული ყურადღება ექვევა მოსწავლეთა ოლიმპიადებისა და სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების ჩატარებასაც, უკანასკნელი ოლიმპიადის რესპუბლიკურ ტურში გაიმარჯვა 7-მა ქუთაისელმ მოსწავლემ.

მათემატიკის სწავლების საქმეს კარგად ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის რაიონის განათლების განყოფილება და მისი მეთოდკაბინეტი, მათ გასულ სასწავლი წლის მათემატიკის სწავლების მდგომარეობა შესწავლითი აქცი 5 საშუალო სკოლაში, შედეგები განხილულია განათლების საბჭოს სხდომაზე და დასახულია საქმიანი პრატიკული ღონისძიებანი, ამ საგნის სწავლების საკითხებს სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი მეთოდგაბინეტის მიმღინარე წლის სამუშაო გეგმაშიც.

მათემატიკის სწავლების საქმეში ნაკლოვნებებია საქართვის რაიონში, რომლის განათლების განყოფილებისა და მეთოდკაბინეტის ხელმძღვანელები არაკომპეტენტურად უძღვებიან საგნის სწავლებას. ეს, ძირითადად, იმით არის გამოწვეული, რომ შტატით ამ საგანში არც სასკოლო ინსპექტორი ჰყავთ და არც მეთოდისტი.

ამ მხრივ არც ქალაქის განათლების განყოფილებაშია ყველაფერი რიგზე. კოლეგიის ზემოაღნი მწული გადაწყვეტილება განხილულია განათლების საბჭოს სხდომაზე 1980 წლის 28 აპრილს, მაგრამ ოქმი ისე ცუდად არის გაფორმებული, რომ გაუგებარია, ვინ რა აზრი გამოიტქვა, მიღებული დადგენილებაც იმდენად სქემატურია, რომ მას არ შეიძლება ქონდეს მათემატიკის სწავლების გაუმჯობესების პრეტენზია. საერთოდ, განათლების საბჭოზე არ არის განხილული ტეოტი საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ამ საგნის სწავლებისა და შესწავლის ღონის ამაღლებას.

ქალაქში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული მშობლიურ ენა-ლი-



ტერატურისა და მათებატიკის მასწავლებელთა კვალიფიციური კურსების ბით სკოლების დაკომპლექტებისა და სასწავლო-მატერიალური ზაზის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ამჟამად ქ. ქუთაისის სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მათებატიკის ყველა მასწავლებელი უმაღლესი სპეციალური განათლებითაა.

ქ. ქუთაისის 35 საშუალო სკოლაში მოწყობილია მშობლიური ენისა და ლიტერატურის 57 კაბინეტი, 2 კლას-კაბინეტი, სკოლების უმრავლებოსაში ამჟამადაც გრძელდება სასწავლო კაბინეტებისა და კლას-კაბინეტების მოწყობა.

განსაკუთრებით კარგად არის მოწყობილი ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტები მე-2 და 23-ე საშუალო სკოლებში, ისინი აღჭურვილი არიან „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობების ნუსხის“ შესაბამისად, კაბინეტში არის დაბნელება, ეკრანი, აპარატურა, მასწავლებელთა ინიციატივით დამზადებული თვალსაჩინოება, ფოტომასალები და სხვა.

ღამაკმაყოფილებლად არის აღჭურვილი მათებატიკის კაბინეტები მე-2, მე-4, მე-12, 31-ე საშუალო სკოლებში.

მასთან, შეინიშნება ნაკლოვანებებიც: სახელდობრ, განათლების განყოფილებისა და სკოლების პედაგოგიური საბჭოების ოქმებში არა-ფერია ნათეავამი იმის შესახებ, თუ ორგორ მუშაობენ მასწავლებლები საბჭოთა სკოლაში დამკვიდრებული სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების ტრასიციული მეთოდებისა და ხერხების მოღერნიზების, სწავლების ეფუძნებინო მეთოდების ძიების, მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავების, მათი ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის, გვერდი აქვს ავლილი იმ ნაკლოვანებებს, ორმლებიც ამ საქმეში გააჩნიათ შესაბამის-სარაიონი და სასკოლო მეთოდურ გაერთიანებებს. მიღებულ გადაწყვეტილება-დადგენილებებში არ არის გათვალისწინებული დასახული დონისძიებების შესრულების შემოწმება. აღმათ, ესეც არის ერთ-ერთი მიზანი იმისა, რომ შემოწმების დღემდე არც განათლების განყოფილებებში და არც სკოლებში არ მოუხდენიათ მიღებული გადაწყვეტილების თუ დადგენილების შესრულების შემოწმება, არ შეუსწავლიათ, რა გაეკთდა ამ მიმართულებით არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ბოლო წლებში განათლების როგორც საქალაქო, ისე რაიონული განყოფილებები არ დაინტერესებულან რუსულ სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესწავლით. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მათ ერთხელაც არ განუხილავთ ამ საგნების სწავლება განათ-



ლეტის განყოფილების სახალხო განათლების საბჭოსა და მეთოლური ნეტების მეთოდსაბჭოს სხდომებზე.

ნაკლოვანებები შეინიშნება ქართული ენისა და ლიტერატურის  
მასწავლებელთა სარაიონო მეთოდური გაერთიანებების მუშაობაში. სა-  
თანალო ფურადღება არ ექცევა განსახილველი საკითხების შერჩევასა  
და იმ კურსით გაშექმნას, რასაც მოთხოვს დღევანდელობა სკოლისა-  
ვან, მოხსენებები არაკვალიფიციურად არის დაწერილი, მათში არ  
ჩანს მოსწავლეთა შემცნებითი აქტივობის განვითარებისათვის ზრუნ-  
ვა, თანამედროვე გაკვეთილისათვის წაყენებული მოთხოვნები, მოს-  
წავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა, სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდ-  
ნის შემოწმება-შეფასების აქტიური მეთოდებისა და ხერხების ძიება; მეტიც: მეთოდგაერთიანებების წევრთა სიტყვებში არაფერია ნათევამის  
მოხსენების ნაკლოვანებებზე, მაგალითად: ლენინის რაიონის განათ-  
ლების განყოფილების მეთოდურ კაბინეტთან შექმნილი სარაიონო მე-  
თოდური გაერთიანების (თაგმჯდომარე ნ. ბერძენაძე) სხდომაზე მიმ-  
დინარე წლის აგვისტოში მოსმენილია მე-8 საშუალო სკოლის მას-  
წავლებელ კვიმსაძის მოხსენება, რომელშიაც „შუპანიკის წამების“ და-  
წერის თარიღდა რატომდაც მიჩნეულია. 475—484 წლები, ხოლო  
ამის შესახებ კი ოქმში სიტყვაც არ არის ნათევამი, მოხსენებაში დაშვე-  
ბულია ბევრი სხვადასხვა სახის შეცდომაც. ეს ფაქტი იმის ნათელი და-  
დასტურებაა, რომ მეთოდური გაერთიანებების მუშაობაში აღვილი აქცე-  
ჭორმალიზმის, საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

ქუთაისის ლენინის, სახელმის რაიონში მეთოდური გაერთიანებებისა და მასწავლებელთა მუშაობაში არსებული ხარვეზები იმითაცაა გამოწვეული, რომ რაიონს მართლაც ყავს ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდისტი, მაგრამ მას ახალი დატვირთვა მიეცა და, ბუნებრივია, ვერ გაართმევს თავს დაკისრებულ როულ მოვალეობას.

ქალაქში დღემდე არაა შექმნილი საბაზო სკოლები ამ საგნებში.)

სათანადო ყურადღება არ ექცევა სასწავლო კაბინეტების მოწყობას ქართულ ენასა და ლიტერატურაში მე-3, მე-4, მე-7, მე-12, მე-19 და 32-ე საშუალო სკოლებში. ეს კი დღევანდელ ეტაპზე ყოვლად შეუწყნარებელია. მოუწყობელია მათემატიკის სასწავლო კაბინეტები მე-4-საშუალო სკოლაში, ხელსაწყოები დამტკიცილია და უსისტემოდაა და-ყრილი, პლაკატები და სხვა ოვალუსაჩინო მასალები იმდაგდარად არის კედელზე გაკრული, რომ გაკვეთილზე მათი გამოყენება შეუძლებელია, დაზიანებულია მაგიდები და სკამები. ძალზე დარიბია ამ საგნის კაბინეტები მე-12 საშუალო სკოლაში, ასეთივე მდგომარეობაა მე-19 და და 23-ე საშუალო სკოლებში, ხოლო მე-3 საშუალო სკოლაში კი ამ საგანში კლას-კაბინეტიც არა აქვთ. რაც შეეხება რუსულ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის კაბინეტებს, მათი მოწყობა ამჟამად მიმდინარეობს.

ნაკლოვანებები შეინიშნება ქალაქის მეთოდური სამსახურის მუშაობის მისი მუშავები ნაკლებად ორან დაინტერესებული სკოლური ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო კაბინეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებით. ამას ისიც ადასტურებს, რომ 1979 წლის 10 აპრილიდან ქალაქის სკოლების 50 ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტისა და 5 კლას-კაბინეტის აღჭურვისათვის და-ხარჯულია მხოლოდ 540 მანეთი.

ქალაქის მეთოდური კაბინეტი სათანადო დახმარებას ვერ უწევს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, ღროვლად ვერ აცნობს მათ სიახლეებს საგნის სწავლებაში, ამის შედეგად მასწავლებელთა ერთი ნაწილი მე-10 კლასში ქართულ ენას ახალი პროგრამით ასწავლის.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობს (ასეთი 2 ყავთ), ჯერ არ უზრუნიათ მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

აღნიშნული ნაკლოვანებები, აღმათ, იმითაც არის გამოწვეული, რომ უკანასკნელ პერიოდამდე (1981 წლის მაისი) ქალაქის მეთოდკაბინეტის არ ყავდა ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდისტი, ამჟამად აღნიშნული საგნის მეთოდისტად დანიშნულია ლ. ფანცხავა, რომლის უნარსა და მონიტორინგისაზე ძალიან ბევრიან დამოკიდებული.

### ქართული ენა და ლიტერატურა

შემოწმებული სკოლების დიდ ნაწილში ქართული ენა და ლიტერატურა დამაკმაყოფილებლად ისწავლება. მასწავლებელთა უმრავლესობა ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს.

კარგად ასწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას ა. ლომაძე (მე-19 საშუალო სკოლა), ვ. ნუცუბიძე (მე-2 საშუალო სკოლა), შ. შვანგირაძე, ა. გვილავა, ლ. ფახაძე (მე-7 საშუალო სკოლა).

ეს მასწავლებლები თანმიმდევრულად, სისტემატურად მუშაობებითავიანთი მეცნიერულ-თეორიული ცოდნის დონისა და პედაგოგიურ-მეთოდური თასტატობის ამაღლებისათვის, მაღალი პასუხისმგებლობით ემზადებიან ყოველი გაკვეთილისათვის, კარგად გეგმავენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, სწორად აქვთ გაკვებული ის მოთხოვნილებანი, რომლებსაც პარტია, მთავრობა, ერთპულიკის განათლების სამინისტრო თანამედროვე ეტაპზე აყენებენ სკოლისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა წინაშე, ცდილობენ და აღწევენ კიდევ გაკვეთილის ეფექტიანობის ამაღლებას, სწავლებისა და აღზრდის ერთიანობას, მოსწავლეთა აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით, არ იფარვებიან საგაკვეთილო მასალითა და სასკოლო სახელმძღვანელოებით, გარასაცემ მასალას აშეუქენებენ მეცნიერებათა განვითარების თანამედროვე პოზიციებიდან და ამდიდრებენ მას დამხმარე ლიტერატურიდან, თანმიმდევრულად ახორციელებენ მოსწავლეებისამი ერთამ

პედაგოგიურ მოთხოვნებს, თავიანთ. პრაქტიკულ საქმიანობაში ფართოდ  
ნერგავენ განმავითარებელ სწავლებას და შემოწმების ფრონტის მეთოდებსა და ხერხებს, მოსწავლეებში ზრდიან კვლევა-ძიების, დაცუ-  
კვნების დამოუკიდებლად გაკეთებისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარ-ჩვევებსა და სხვა.

დამაკამყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: ე. ძოწენიძე,  
ვ. საღარეიშვილი, ვ. მიქაძე (1-ლი საშუალო სკოლა), ნ. სარალიძე,  
მ. კიკანაძე, ნ. გვილავა (მე-3 საშუალო სკოლა), ვ. სამხარაძე (მე-4 სა-  
შუალო სკოლა), ტ. გურგენიძე (მე-12 საშუალო სკოლა), ლ. გოგა-  
ძე (მე-19 საშუალო სკოლა), ნ. გიორგობიანი (32-ე საშუალო სკო-  
ლა) და სხვა.

შემოწმებით გამოვლინდნენ ისეთი მასწავლებლებიც, რომლებიც  
გაკვეთილებს ატარებენ დაბალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე, ნაკ-  
ლებად ზრუნავენ სასწავლო ორგანიზაციების ხრულყოფის, გაკვეთილის ეფექ-  
ტიანობის ამაღლებისათვის, ვერ აიარაღებენ მოსწავლეებს თვითგანათ-  
ლების ხერხებითა და სასწავლო მუშაობის უნარ-ჩვევებით, სათანადო  
ყურადღებას არ უთმობენ მათში კულტურული კითხვის, წერითი და  
ზეპირი მეტყველების ჩვევების ჩამოყალიბებას. ეს მასწავლებლები  
ნაკლებად იცავენ სამუშაო დისციპლინას, არ ზრუნავენ სწორი სასწავ-  
ლო ორგანიზაციისათვის, არ აქვთ შექმნილი მოსწავლეთა  
ცოლნის, უნარისა და ჩვევების კონტროლის მოქნილი სისტემა, მიმარ-  
თავენ გაჭირებულ ზეპირ გამოკითხვას, არასწორად გეგმავენ სასწავ-  
ლო-აღმზრდელობით პროცესს, ვერ არჩევენ ასახსნელი მასალის შესაბა-  
ძის სასწავლო მეთოდებსა და ხერხებს, მოსწავლეებს არ უვითარებენ  
კვლევის, ძიების, დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევებს.

არ იყენებენ სწავლების ტექნიკურ საშუალებებსა და თვალსაჩი-  
ნოებას, უფრო მეტი, დაფასა და ცარცსაც უგულებელყოფენ საშინაო  
დავალების შემოწმების, გავლილი მასალის გამეორებისა თუ ახალი  
მასალის ასენისას, მოსწავლეებისაგან მოითხოვენ სახელმძღვანელოში  
მოცემული წესებისა და საგარჯოშოების მხოლოდ ზეპირად გაღმოცემას,  
ერთი სისტემით, გაკვეთილებს ატარებენ ძველებურად, ერთფეროვნად,  
ტრაფარეტულად, მოსწავლეთათვის. მოსაწყენად და სხვა. ასეთი მას-  
წავლებლები არიან: ნ. ხაფავა, ზ. ჩარკვალი (მე-2 საშუალო სკოლა),  
თ. ფარჯიანი, ლ. ჭანკვეტაძე (მე-7 საშუალო სკოლა), ე. ძოწენიძე  
(მე-12 საშუალო სკოლა), მ. გიგინეიშვილი (32-ე საშუალო სკოლა),  
მ. თვალაშვილი, ნ. კლიმიანიშვილი (მე-3 საშუალო სკოლა), ნ. ძიძი-  
გური, ნ. თორთლაძე (მე-4 საშუალო სკოლა), ნ. ნიუარაძე (მე-19 სა-  
შუალო სკოლა), თ. დვალი, ნ. როგავა, ნ. ჭეიშვილი (23-ე საშუალო  
სკოლა).

დაბალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე ჩაატარა ქართული ლი-  
ტერატურის გაკვეთილი მე-8 კლასში მასწავლებელმა. ნ. ხაფავამ, ხარ-  
54

ვეზები ახლდა როგორც წინა მასალის გამოკითხვას, ისე ახალგადებული სალის ახსნას. მასწავლებელმა ყურადღების გარეშე დატოვა ჰანძთელი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: გრიგოლ ხანძთელის ავტო- რიტეტი, საერო და სასულიერო პირთა ურთიერთობა, ქვეყნის მთლია- ნობის იდეა, ადგილი ქონდა მეცნიერული ხასიათის შეცდომასაც— მასწავლებელმა ნერსე ერისთავი სარწმუნოებისათვის წამებულ პირ- ოვნებაზ გამოაცხადა, მის მიერ დაფაზე დაწერილი გრიგოლ ხანძთე- ლის დახასიათების გვეგმა იყო ძალგზე გაუმართავი, დაუხვეწავი და- არასრულყოფილი. აღნიშნული მუშაობის შედევრია მოსწავლეთა სუს- ტი ცოლნა. მათ არ იციან გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტი და ვერ იყენებენ მას მიზნობრივად. დაბალია მათი ზეპირი მეტყველების კულტურა, თხრობის ღროს უშვებენ შეცდომებს, მაგალითად: სიტ- ყვით რომ ვერ გააკეთა ვერაფელი, ყველა თავისი მოწაფენი მოიწვია- თავისთან”, „იგი ეკუთვნილა წარჩინებული ოჯახის წარმომადგენელი იყო”, „ნახა მრავალი ეკლესიები” და სხვა. უფრო მეტიც თვით მასწა- ვლებელი უშვებს შეცდომებს, მის თხრობაში რამდენიმე გაუმართავა წინადადება და არასწორად ნახმარი სიტყვები შეინიშნება: „მრავალი ხრიცშესმული მასალა მინდა”, „გრიგოლ ხანძთელის პიროვნება ორ- თავეს პატივს სცემდა”, „სდუმს”. „ხატოვნად” და სხვა.

მასწავლებელი გ. ჩარკვიანი (მე-2 საშუალო სკოლა) ცუდად ას- წავლის ქართულ ენას, გაკვეთილზე უშვებს მეცნიერული ხასიათის შე- ცდომებს, მაგალითად: წინადადებაში — „გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გააგონ”, სიტყვა „ქათამი” განსაზღვრებად მიიჩნია, იგი კლა- სის წინაშე სვამს ბუნდოვან და გაუმართავ კითხვებს, საუბარში ხმა- რობს კუთუხურ გამოთქმებს „მერმედ გაიგებ”, „შამოიყვანა”, „მოსუ- ლმა სტუმარმა რომ მიერიოს შინაურს”.

მოსწავლეები არ იცნობენ მეტყველების ნაწილებს, წინადადების წევრებს, ორი „მ“-ს ხმარების წესს და ა. შ.

ქართულ ლიტერატურაში პროგრამული მასალის არაღამაკმაყო- ფილებელი ცოლნა გამოაცვინეს მე-7 საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ჭანკვეტაძე). მათ სუსტად იციან „კაკო ყაჩა- ლის” შინაარსი და გასამეორებლად მიცემული ლექსი „ელევია”, და- ბალია ზეპირი მეტყველების კულტურა, არ შეუძლიათ მხატვრული ნა- წარმოების შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა, ვერ განმარ- ტავენ ეპიტეტს, შედარებას, პოემას, ელევიას;

მასწავლებელი ვერ ფლობს ღიღტანიანი მხატვრული ნაწარმოების სწავლების მეთოდიკას, არ აწარმოებს შერჩეული ადგილების ყოველ- მხრივ ანალიზს, სუსტად ფლობს კითხვების დასმის მეთოდიკასაც.

სუსტია ამავე სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეთა ცოლნა ქართულ ენაში (მასწ. ფარჯიანი). ისინი ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებენ დამო- უკიდებელ და დამხმარე სიტყვებს, არ იცნობენ სინტაქსური დამოკი- დებულების სახეებს, ზმინის გარდამავლობის გამოცნობის ხერს, საგ-

ნის სწავლებაში უგულებელყოფილია თვალსაჩინოება და მოსწავლეთ /  
მიერ ჟეპირმეტყველებაში დაშვებული შეცდომების გაანალიზება-ჭრა-წორება.

არადამაკამაყოფილებლად ასწავლის მე-6, მე-8 კლასებში ქართულ ენას მ. გიგინიშვილი (32-ე საშუალო სკოლა). მე-6 კლასის მოსწავლებმა კარგად არ იციან სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები და მათი მართლწერის წესები. მე-8 კლასელები ვერ არჩევენ წინადაღების სახეებს შინაარსისა და აგებულების მიხედვით, არ იციან მათი ჭუსტი განმარტებები, მეტყველების ნაწილები.

მ- გოგიჩაიშვილმა მე-ნ კლასში არასრულყოფილად ასენა შმის-წინი, არაფერი უთქვამს ზმნისწინის რაობაზე, სახეებსა და ოთული ზმნისწინის წარმოებაზე, ერთი სიტყვით, მასწავლებელი გრამატიკას არ ასწავლის ზეპირმეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატურასთან კავშირში, საგარეჯოშოდ არჩევს ისეთ მოძველებულ, გაცემილ წინადა-დებებს, რომელშიაც არაფერია აღმზღველობითი, წშირად როგორც მას-წავლებლები, ისე მოსწავლეები აღდგევენ სალიტერატურო ენის ნორ-მებს.

სუსტად ასწავლის ქართულ ენას მე-4 კლასში მასწავლებელი ო. დვალი (23-ე საშუალო სკოლა), მან ახტლი მასალა „განსაზღვრება“ ახსნა ბუნდოვნად. მაგალითად: წინადადებაში „ბალში ბევრი ხეხილი ხარობდა“ ვერ განმარტა, თუ რომელი მეტყველების ნაწილით არის გადმოცემული განსაზღვრება, ხოლო დამატების შესახებ ასეთი ცნობები მიაწყდა: „დამატების პითხები ბევრია, ასე ადგილი არაა მისი შესწავლა, მარა მეტი რა ჯანი გვაქვს, უნდა გისწავლოთ“.

დაბალია მასწავლებელ ნ. თორთლაძის მოსწავლეთა ცოდნის დონე ქართულ ლიტერატურაში მე-9 კლასში (მე-4 საშუალო სკოლა); მოსწავლებს უჭირთ პოემა „ბედი ქართლისას“ შინაარსის გადმოცემა, არ იციან საზეპირ აღგილები, იცემირებიან წიგნებში და ცდილობენ მასწავლებლის მოტყუებას, ვერ ერკვევიან ამ მხატვრულ ქმნილებაში გამოყენებული პოეტური გამოსახვის საშუალებებში, ვერ განმარტეს შედარება, ეპითეტი, ეპოსი და სხვა, დაბალია მათი ზეპირი მეტყველების კულტურა.

მასწავლებელი სათანადო ყურადღებას არ უთმობს მასალის აღმ-ზედელობით მხარეს და თანადროულობასთან კავშირს; არაფერი უთქ-ებამს რესენტან საქართველოს ნებაყოფლობით დაკავშირებასა და მის მნიშვნელობაზე ჩვენი ერის ისტორიაში, იმ სამშატისზე, რომელიც მიმღინეულის ჩვენს არსაუბლივიგაში გეორგიევსკის ტაძრატის მე-200 წლისთავის აღსანიშნავად, სუსტია მოსწავლეთა წერის კულტურა, უჭირთ დამოუკიდებელი პრილენება, ნააზრევის გამაოთულად გადმო-ცემა. ამის გამო, რომ სეტემბერში ჩატარებულ საკონტაქტო წერა-ში 30 მოსწავლიდან 18-მა არადამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმ-სახურა.



მასწავლებელი მეთოდურად ყოვლად გაუმართლებლად ამზადებული კლასს საკონტროლო წერისათვის, საკონტროლო დასაწერ თემას არ ლევს საშინაო დავალების რევულებში შესასრულებლად და მოითხოვს მის გადაწერას ე.წ. კრიტიკის წიგნებიდან, მაგალითად: მე-7 კლასის მოსწავლეებს საკონტროლო წერისათვის შერჩეული თემა „ადამიანის დანიშნულება 6. ბარათაშვილის ლექსის „ფიქრი მტკვრის პირზედ“ მიხედვით მოსწავლეებს, მასწავლებლის მითითებით, საშინაო დავალების რევულებში გადაწერილი ქონდათ მ. ზანდუკელის შრომიდან! კიდევ მეტი, ვერც ერთმა ვერ გაღმოსცა დაწერილის შინაარსი. ჩანს, რომ მასწავლებელი აჩვევს მოსწავლეებს „შპარგალკების“ მომზადებას და მათ გამოყენებას.

ამგვარად ამზადებს მოსწავლეებს რიგითი საკონტროლო წერისათვის მასწავლებელი 6. ჭეიშვილი (23-ე საშუალო სკოლა) და „შედევრიც არ აყოვნებს — მოსწავლეები მოურიდებლად იწერენ „შპარგალკებიდან“.

მსგავსი მდგომარეობა შეინიშნება 6. როგავას (იგივე სკოლა) მუშაობის პრაქტიკაშიც, ის მოსწავლეებს შინ დასაწერად აძლევს ერთ ან ორ თემას, აკითხებს ამ თემებს კლასში, ასწორებს მათ და მომდევნო გაკვეთილზე. ატარებს საკონტროლო წერას რომელიმე მათგანზე.

მასწავლებელი მ. თვალიაშვილი (მე-3 საშუალო სკოლა) ვერ ფლობს მეტყველების განვითარების გაკვეთილის ჩატარების მეთოდებსა და ხერხებს.

დასახელებული სუსტი მასწავლებლებიდან 6. თორთლაძეს, 6. ჭეიშვილსა და 6. როგავას რამდენიმე წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟი აქვთ. მათ უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს დამაგრაფილებელი თეორიული ცოდნა, მაგრამ სკოლაში მუშაობის ამ მცირე დროის მანძილზე პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნება ვრ მოაწერს. ალბათ, ეს არის მიზგზი, რომ მათ მუშაობას მეთოდური უმწიფრობა ხარვეზალ მიჰყვება და ამ მხრივ დახმარება და გაწაფება სჭირდებათ.

საჭიროა ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (დირექტორი დოც. უ. ჯულაყიძე) ყურდალება მიაქციოს ამ ნაკლოვნებებს, საგანგებოდ შეისწავლოს სუსტად მომუშავე მასწავლებლების საქმიანობა და დახმარება გაუწიოს მათ როგორც თეორიული ცოდნის დონის ამაღლების, ისე პროფესიული დახელოვნების მიზნით.

ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია არის სკოლაში წერითი მუშაობის სწორი და რაციონალური ორგანიზაცია, ამ საკითხის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ შემოწმებულ სკოლებში ძირითადად დამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებანი წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ძალზე დაბალია მოსწავლეთა წერის კულტურა. ნამუშევრების აბსოლუტურ უმრავლესობაში შეიმჩინება.

ნევა ნაკითხაობის უკმარობა, ნაწარმოების, მისი ორმელიმე ეპიზოდის შედეგი თუ ფაქტის ანალიზის უსარობა, მართლწერის წესების უცოდინალიშვილის ცედი გალიგრაფია და სხვა. მასწავლებლები არ აშენავებენ მოსწავლეებს ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ეს იმით აისწერა, რომ მეთოდურად სწორად არ ხდება საკონტროლო მუშაობისათვის მოსწავლეთა მომზადება, არ წარმოებს შეცდომების გაანალიზება-გასწორება, არ ხწორდება საშინაო ღავალების რვეულები, უგულებელყოფილია საკლასო წერების ჩატარება ლიტერატურაში, ე. ი. წინასწარ არ ხდება საკონტროლო წერისათვის შერჩეული თემის კომპინენტებზე მუშაობა; სათანადო ყერადღება არ ექცევა ენის პრაქტიკულ მხარეს — ორთო-გრაფიის, პუნქტუაციისა და სტილისტიკის საკითხების სწავლებას, საწერად არ ეძღვათ შემოქმედებითი ხასიათის თემები, რომლებიც მოსწავლეთაგან მოითხოვენ დამოუკიდებელ აზროვნებას, უფრო მეტი: მასწავლებლები (თიტქმის ყველა) საკონტროლო წერის თემებს (ერთს ან ორს) აძლევენ შინ დასაწერად, აკითხებენ კლასში, ასწორებენ, აძრივად წინასწარ აშზადებინებენ მოსწავლეებს შეპირ ან წერილობის „შპარგალებს“, და ამის შემდეგ ატარებენ საკონტროლო წერებს.

საკითხის შესწავლისას წერითი სამუშაოები ჩატარდა ქუთაისის მე-2 (მასწ. თ. ხელიძე), მე-12 (მასწავლებლები: ვ. ძოწენიძე, ტ. გურგენიძე), 23-ე (მასწ. ლ. ლევაგა). საშუალო სკოლებისა და ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის (მასწავლებლები: ლ. მონიაგა, ს. ფარჯიანი) მე-10 კლასებში.

საწერ თემები შეირჩა საგნის მასწავლებლებთან შეთანხმებით:

მე-12 საშუალო სკოლის X ა კლასში 1. მუნჯაძეობიდან ძალა-ძეობამდე (ეგ. ნინოშვილის შემოქმედების მიხედვით), 2. ქალაქში განიზნულ აზნაურთა სახეები (ლ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“), 3. როცა 17 წლის ვედები. ამავე სკოლის X ბ კლასში — 1. სოციალურ ძალთა ურთიერთობა ეგ. ნინოშვილის „სიმონაში“, 2. აზნაურთა სახეები დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალში“, 3. მე — ჩემი ქალაქის სტუმრის მეგზური.

მე-2 საშუალო სკოლაში: 1. ღარიბ აზნაურთა სახეები დ. კლდია-შვილის „სამანიშვილის დედინაცვალში“, 2. რაც დავიწყებით არ იბინდება.

23-ე საშუალო სკოლაში: 1. კლასობრივი ბრძოლის ასახვა ეგ. ნინოშვილის „სიმონაში“, 2. გლეხთა ტიპები ეგ. ნინოშვილის შემოქმედებაში.

შედეგები დამაფიქრებელია: მე-12 საშუალო სკოლის X ა კლასის (მასწ. ვ. ძოწენიძე) 33 მოსწავლიდან საკონტროლო წერას ესწრებოდა 28, არც ერთი ნამუშევარი არ შეფასებულა ნიშნით 5/5, შეფასება 4/4 დამსახურა ერთმა, 3/3-ოთმა, 3/2 — სამა, 2/2 — ოცმა.

ამავე სკოლის X ბ კლასის 24 მოსწავლიდან (მასწ. ტ. გურგენი-



ძე) წერას დაქსწრო 19, აქედან ნიშანი 3/ მიიღო ცამეტმა, 2/ გვ. მუშაობის ექსპერტისა.

მე-2 საშუალო სკოლის X ბ კლასის (მასწ. თ. ხმელიძე) 34 მო-  
სწავლიდან წერას ესწრებოდა 30, აქედან შეფასება 4/4 დაიმსახურა-  
ერთმა, 3/3 — ხუთმა, 2/2 — ოცდაოთხმა მოსწავლემ.

23-ე საშუალო სკოლის X აბ კლასის (მასწ. ლ. ლეჟავა) 54  
მოსწავლიდან საკონტროლო წერას ესწრებოდა 47, საპატიო მიზეზით  
არ დაქსწრო 3, გაიპარა 4 მოსწავლე, არც ერთი ნამუშევარი არ შეფა-  
სებულა ნიშნებით 5/5 და 4/4. დადებითი შეფასება მიიღო ოცდაცა-  
მეტმა, არადამაქმაყოფილებელი კი — თოთხმეტმა.

წერითი სამუშაოების ჩატარებისას გამოვლინდა არამარტო მოს-  
წავლეთა დიდი ნაწილის დაბალი მომზადება ქართულ ლიტერატურაში  
და დამოუკიდებელი წერის ჩვეულების უქონლობა (მასწ. ლ. ლეჟავას „მოს-  
წავლეთა ერთმა ნაწილმა „შპარგალების“ გამოყენება სცადა) და  
მართლწერის წესების უცოდინარობა, არამედ მასწავლებელთა ლიბე-  
რალიზმი. ეს განსაკუთრებით ითქმის-მასწავლებლების ე. ძოწენიძისა  
და თ. ხმელიძის მიმართ, რომლებმაც დაუმსახურებლად დადებითი  
ნიშნით შეაფასეს ბევრი ნამუშევარი (ვ. ძოწენიძემ — 17, ა. ხმელი-  
ძემ — 17).

შემოწმებულ სკოლებში შექმნილია ქართული ენისა და ლიტერა-  
ტურის საგნობრივი წრეები. როგორც სამუშაო გეგმებიდან და ჩატა-  
რებული მუშაობიდან ჩანს, მათ მიერ სწორად არის „გაგებული წრეობ-  
რივი მუშაობის როლი და დანიშნულება.

შესწავლილ სკოლებში შექმნილია და მუშაობენ ქართული ენისა  
და ლიტერატურის მასწავლებელთა სასკოლო მეთოდური გაერთიანე-  
ბები, რომელთა გეგმები დროულადაა განხილული და დამტკიცებული  
სკოლის ხელმძღვანელობის მიერ, თუმცა მათ მუშაობაში ადგილი აქვს  
ნაკლოვანებებს, კერძოდ: სამუშაო გეგმებში არა გათვალისწინებული  
ზოგადთეორიული და ზოგადებულებული საკითხების განხილვა, გა-  
უმჯობესებული პროცესი ამჟარბი მუშაობა, თანამედროვე გაკვეთილის აგე-  
ბის პრინციპები, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-  
განზოგადება, შესაბამისი საგნობრივი წრეების ხელმძღვანელობა,  
დღემდე არც ერთი მეთოდური გაერთიანების მსჯელობის საგნად არ  
გამხდარა მოსწავლეთა წერის დაბალი კულტურა და სხვა.

იმის გამო, რომ ადგილებზე ვერ ვნახეთ მეთოდგაერთიანებების  
მიერ გასულ სასწავლო წელში ჩატარებული მუშაობის ამსახველი მასა-  
ლები, ვერაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ რა მუშაობა გასწიეს მათ  
ზემოაღნიშნული საეტაპო დოკუმენტების ცხოვრებაში გასატარებლად!

ის ნაკლოვანებები, რაც ასე მკვეთრად შეინიშნება ქართული ენისა  
და ლიტერატურის სწავლების საქმეში, იმითაცა გაპირობებული, რომ  
არადამაკმაყოფილებელია შინასასკოლო კონტროლისა და მასწავლებ-  
ლებშე დახმარების გაწევის საქმე. სკოლის დირექტორებს და მათ



მოადგილებს სრულებით არა აქვთ მოსმენილი გაკვეთილები აზერბაიჯანის ნებში ან თითო-ოროლა გაკვეთილის მოსმენით საქმე დამთავრებულად მიუჩინევიათ, ხოლო მათი მეცნიერული და მეორღური მომზადების დონე ძალზე დაბალია, \*ანალიზებში ყურადღება არ ექცევა თუ როგორ მუშაობს მასწავლებელი მოსწავლეებში აქტიური აზროვნების განვითარებისათვის, სწორად არჩევს თუ არა სწავლების მეორღებსა და ხერხებს, როგორ იყენებს სწავლების ტექნიკურ საშუალებებსა და თვალსაჩინოებსა, ერთი სიტყვით, ანალიზებში არ ჩანს, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე გაკვეთილები (მე-3, მე-4, მე-19, 23-ე საშუალო სკოლები).

რუსული ენა და ლიტერატურა

ქ. ქუთაისის იმ რუსულ სკოლებში, რომელთა მუშაობაც შეისწავება— ლა განათლების სამინისტროს ბრიგადამ, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა უმრავლესობა დამაკმაყოფილებლად მუშაობს; სათანადოდ ფლობს საგანსა და მისი სწავლების ძეთოდიკას, პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება საგნის სწავლებას, გაკვეთილებზე იყენებს სასწავლო-ტექნიკურ საშუალებებსა და თვალსაჩინოებას.

განსაკუთრებით გამოიჩინება მ. ჩიპავას, მ. საფრონოვას (მე-14 საშუალო სკოლა) და მ. ვოლოკოვას (მე-10 საშუალო სკოლა) მიერ ჩატარებული რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები, მათ წილადასწარ აქვთ მოღიქვებული ყოველი გაკვეთილის მიკროსტრუქტურა; რაც შესაძლებლობას იძლევა, აქტიურად იყვნენ ჩაბმული გაკვეთილის მსვლელობაში. სისტემატურად მიმდინარეობს გავლილი მასალის გამოწვევა. მოსწავლეთა ყურადღება მახვილდება მართლწერის წესების შევრცელების მიზანისათვის. სერიოზული ყურადღება ექცევა შეცდომების გასწორებაზე მუშაობას და საკლასო სამუშაოების შესრულებას, საკლასო-საშინაო რევიულები სწორდება ყოველ პირაში, ამის შედეგად ამ მოსწავლებულების მოსწავლეებმა მტკიცედ იციან შესწავლილი მასალა, მაღალია მათი წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა და სხვა.

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან საგანძის მ. ვარლამოვა, ნ. ფოფხაძე, მ. ეფრაიმიშვილი, მ. პახომოვა, ნ. ჩიხლაძე, ვ. ივანოვა (მე-9 საშუალო სკოლა), ე. შარაშენიძე, ა. ბერძელაძე, მ. გაწორაშვილი (მე-10 საშუალო სკოლა), ა. ვასეგა, ს. მირონოვა, ლ. ტილაურიძე, ლ. სილავევი (მე-13 საშუალო სკოლა), რ. ფიჩხაძე, ვ. ვეზჭლური, ვ. სლემიშვილი, ნ. არანანია (მე-14 საშუალო სკოლა), ვ. გურგენიძე; ი. მარჩენკო (მე-15 საშუალო სკოლა).

ამასთან, ბუსტლი ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ერთს  
ნაწილის მუშაობაში შეინიშნება ოიგი სერიოზული ნაკლოვანებანი: არ  
იკრძნობა გაკვეთილისა და მისი მიკროსტრუქტურის გარკვეული მი-  
ზანი, სუსტია გაკვეთილის იდეურ-აღმზრდელობითი მომართულება,  
60

ყურადღება ექცევა მხოლოდ სწავლებას, ენის გაკვეთილებზე გასართვა და გად შერჩეული წინადადებები იშვიათად უკავშირდება განსაზღვრულ აღმზრდელობით თემას, უგულებელყოფილია გამეორება და მოსწავლეთა ლექსიკონების გამდიდრება, საკმაო ყურადღება არ ექცევა მიმდინარე და შემაჯამებელ გამეორებას, წერითი ნამუშევრების გასწორებისას ადგილი აქვს შეცდომების გამოტოვების შემთხვევებს (ვ. კარევი — მე-13 საშუალო სკოლა), 6. ნაზღაიძე (მე-15 საშუალო სკოლა). ყოველივე ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა ცოდნაჟე — ძალშე დაბალია მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა.

მასწავლებელ ლ. კოვზირიძის მიერ ჩატარებული ლიტერატურის გაკვეთილი არ იყო მეორდურად გამართული, მას ახალი მასალის წაკითხვამდე არ მოუხდენია ასახენელ ტექსტში მოცემული ახალი სიტყვების ლექსიკური ანალიზი და ეს მაშინ, როცა მოსწავლეთა დიდი ნაწილი ეროვნებით არაოუსია, მანვე არასწორად ჩატარა კომენტირებული კითხვა, რომლის თანამიმდევრობას არღვევდა უცნობი სიტყვების ახსნით აღმზრდელობითი ხასიათის საუბრითა და შინაარსის თხრობით. მასწავლებელმა ს. ალფეროვამ გოგოლის „ტარას ბულბა-დან“ დაახსიათა სამი გმირი: ტარას ბულბა, ოსტაპი და ანდრეი, გაკვეთილის ასეთმა დაგეგმვამ კი გამოიწვია მოსწავლეთა გადატვირთვა, ამასთან, გმირთა დახსიათება მიმდინარეობდა მეორდურად არასწორად, არ ჩატარებულა მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა.

მასწავლებელმა ლ. ციცაშვილმა მე-10 კლასში ა. მ. გორგიშვილინი „ვ. ი. ლენინი“ ისე ახსნა, რომ არ ჩატარებია დასკვნითი განმაზოგადებელი საუბარი, დავალება კი ისეთი რთული მისცა, რომ მისი შესრულება ამ გაკვეთილზე მიღებული ცოდნით მოსწავლეებს ძალიან გაუჭიოდათ. მასწავლებელს მოსწავლეთა ყურადღება არ გაუმახვილებით ტექსტის მხატვრულ მხარეზე, არ მიუცია ცნობები პროვრამით გათვალისწინებული ლიტერატურის თეორიის საკითხების შესახებ და სხვა.

მასწავლებელმა ვ. კარევმა მე-4 კლასში შეცდომები დაუშვა მეტყველების განვითარებაშე მეცალინეობის დროს. დამახასიათებელ შეცდომებზე მუშაობის პროცესში მოთხრობის „ვალოდიას ზეიმი“ მოყლე შინაარსის გადმოცემისას. ღროის დიდი ნაწილი მოანდომა გასწორების ნიშნების გაცნობას. ამგვარად, ტიპური და ინდივიდუალური შეცდომების ანალიზი მოახდინა არა კონკრეტული თემის, არამედ სხვა თემის მიხედვით. მოსწავლეებს გაკვეთილზე არც ერთი ჩანაწერი არ გაუკეთებიათ. არც ზეპირი მეტყველება გაუმდიდრებია ახალი სიტყვებით.

მოსწავლეთა წერის კულტურისა, და საერთოდ, მათი ნაკითხობის შემოწმების მიზნით ჩატარდა საკონტროლო წერტი მე-13 საშუალო სკოლის მე-10 ა და მე-9 ბ, მე-14 საშუალო სკოლის მე-9 ა, ბ, მე-8 ა, ბ, გ, და მე-9 საშუალო სკოლის მე-9, მე-10 კლასებში.



თემები შეირჩა საგნის მასწავლებლებთან შეთანხმებით.

საქართველო  
სოციალური დამოუკიდებელი სახელმწიფო

მე-13 საშუალო სკოლის მე-10 ა კლასს (მასწ. ო. კოვალენკო) საწერად მიეცა „ა. მ. გორგის „დედის“ ცალკეული თავების დამოუკიდებელი ანალიზი“, კლასის 23 მოსწავლიდან ნიშნებით 5/5, 5/4, 4/5 არც ერთი არ შეფასებულა, 4/4 დაიმსახურა ერთმა, 3/4 ორმა, 3/3 — ცხრამ, 3/2 — თერთმეტმა, ე. ი. თითქმის ნახევარმა.

მე-9 ბ კლასში (მასწ. ს. მოროზივა) დასაწერად მიეცათ თემები: „არაფერი ისე არ ამაღლებს პიროვნებას, როგორც აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია“, „განსოვდეთ ის, გინც არასოდეს არ დაბრუნდება“!

წერის მონაწილე 27 მოსწავლიდან შეფასება 4/4 დაიმსახურა ხუთმა, 4/3 — ერთმა, 3/3 — თექვსმეტმა, არადამაკმაყოფილებელი ნიშანი კი — ექვსმა მოსწავლებმ. ამავე ვ. კარევმა, მე-9 კლასში საკონტროლო წერის დაწყების წინ 20 წუთი დახარჯა მოსწავლეთათვის მიმართულების მიცემაზე.

დაბალ მეთოდურ დონეზე წარმართავს გაკვეთილებს მე-15 საშუალო სკოლის მასწავლებელი 6. ნაზლაიძე.

მე-14 საშუალო სკოლის მე-9 ა, ბ კლასებში (მასწ. ა. რუსაძე) საწერად მიეცათ ორ-ორი თემა:

1. რაში გამოიხატება სამშობლოს ნამდვილი სიყვარული
2. გზები, რომლებსაც ჩვენ ვიზრევთ
3. „განსოვდეთ ის, გინც არასოდეს არ დაბრუნდება“
4. მე და ჩემი თანამედროვე

მე-9 ა კლასის 26 მოსწავლიდან ნიშანი 4/4 მიიღო ერთმა, 3/3 — თოთხმეტმა, 2/2 — თერთმეტმა.

მე-9 ბ კლასის 24 მოსწავლიდან ნიშანი 5/5 არც ერთს არ დაუმსახურებია, 4/4 მიიღო ერთმა, 3/3 — თექვსმეტმა, 2/2-რვამ, 1/1 — ერთმა.

ამავე სკოლის მე-8 ა, ბ, გ კლასებში (მასწ. მ. საფონოვა) ჩატარდა კარნაზი სასვენი ნიშნების ხმარებაზე რთულ თანწყობილ წინადადებაში, შედეგები ასეთია: მე-8 ა კლასში არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო მოსწავლეთა 39-მა პროცენტმა, მე-8 ბ კლასში 26-მა პროცენტმა, მე-8 გ კლასში — 23-მა პროცენტმა, საშუალოდ სამივე კლასში ამ წერის მიხედვით ერთ ასწრებს 36 პროცენტი.

მე-9 საშუალო სკოლის მე-9 (მასწ. მ. მ. ეფრაიმი) და მე-10 (მასწ. მ. ვარლამოვა), კლასებში საწერად მიეცათ თავისუფალი თემები: „გმირები არ კვდებიან“, „საქმე, რომელსაც მინდა ვემსახურო“, წერის შედეგები ასეთია: მე-10 კლასში არადამაკმაყოფილებელი ნიშანი დაიმსახურა მოსწავლეთა 20-მა პროცენტმა, მე-9 კლასში კი 16-მა პროცენტმა.

ძალზე სუსტი შედეგი გვიჩვენეს მე-15 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებმა (მასწ. 6. ნაზლაიძე). ამ კლასის 18 მოსწავლი-62

დან 12-მა საკონტროლო წერაშე არაღამაკმაყოფილებელი შეფეხულში დაიმსახურა.

როგორც შედეგი გვიჩვენებს, ჯერჯერობით დაბალია მოსწავლეთა ცოდნის ღონე ლიტერატურაში, არ შესწევთ დამოუკიდებელი ანალიზისა და გმირთა ხასიათების გახსნის უნარი, არ შეუძლიათ თემების ღრმად გაშუქება და წამოყენებული დებულების დასაბუთება ტექსტიდან შესაბამისი ადგილის მოყვანით, დარიბია მათი ლექსიკა, სუსტად იციან მართლწერის წესები.

მასწავლებლები კარგად არ იცნობენ მეთოდურ მითითებებს წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესასება.

სკოლებში შექმნილია და, ძირითადად, დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ლიტერატურული და მხატვრული კითხვის წრეები. — ამასთან, შეინიშნება ნაკლიც, სახელდობრ: მე-9 სკოლის მე-4, მე-5, მე-6 კლასების მოსწავლეები არ არიან წრეში გაერთიანებული, არარაციონალურად არის დაკომპლექტებული ზოგიერთი წრე, მასში გაერთიანებული არიან მე-7, მე-8 კლასების მოსწავლეები, ამ კლასების ერთი წრის გეგმა ნახევარწლილურია, მეორე — წლიური, არ ტარდება მეცადინეობაზე დასწრების აღრიცხვა.

ყველა სკოლაში შექმნილია რუსული ენისა და ლიტერატურის მას-წავლებელთა მეთოდური გაერთიანება, ისინი მუშაობენ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მიერ მიცდომული ოკურმენდაციების მიხედვით, ჩატარებულია თითო მეცადინეობა და განხილულია აქტუალური საკითხები, როგორიცაა: „სკოლის მუშაობა ახალ ამოცანათა დონეზე“, „რუსული ენის სწავლების პრაქტიკული მიმართულების გაძლიერების შესახებ“, „გათვალისწინებულია ღია გაკვეთილების ჩატარება, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და სხვა“.

სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობით დარგში რეგულარულად ისმენენ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა გაკვეთილებს, ასე მაგალითად: მე-3 საშუალო სკოლის დირექტორს ლ. ფედონინას (ფილოლოგი) მოსმენილი აქვს ამ საგნებში 12 გაკვეთილი, მე-10 საშუალო სკოლის დირექტორს მოადგილეს მ. ვოლოვას (ფილოლოგი) — 14, მე-13 საშუალო სკოლის დირექტორს ო. ტოვონიძეს (ისტორიკოსი) — 8 გაკვეთილი, დირექტორის მოადგილეს ს. მოროზოვას — 15, მე-14 სკოლის დირექტორს ვ. შალამბერიძეს — 6.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გაკვეთილების ანალიზები, უმრავლეს შემთხვევაში, ზერელუ, სქემატურია, არ არის გამოკვეთილი გაკვეთილზე დასწრების მიზანი, კლასის წინაშე დასაყენებელი საკვანძო სიტყვები, არ მოწმდება მოსწავლეთა რეენტენისა და საკლასო ურნალების წარმოება.



## შემოწმებამ გვიჩვენა

საქართველო  
სამართლებული

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ქუთაისის რიგ სკოლებში გაძლიერდა მათემატიკის სწავლებისაღმი ყურადღება, გაუმჯობესდა სასწავლო-მატერიალური ბაზა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგის 1980 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ განხილულია 1-ლი, მე-2, მე-4, მე-12 და 32-ე საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, დასახულია საქმიანი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსახურებლად.

სკოლები, ძირითადად, უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით, პროგრამებითა და მეთოდური წერილით პროგრამებში შეტანილი კორექტივების შესახებ.

შემოწმებული სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა უმრავლესობა კარგად ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებს და საყურადღებო წარმატებებსაც აღწევს მუშაობაში.

კარგად ასწავლიან მათემატიკას მ. ნაკანი, ლ. აბდუშელიშვილი (23-ე საშუალო სკოლა), თ. ჩიხლაძე, ჯ. მანდაარია, ი. ჭირაქაძე, მ. ლომინაძე, ნ. ქელბაძინი (მე-3 საშუალო სკოლა), ლ. სტურუა (მე-7 საშუალო სკოლა), დ. ბაბალიკაშვილი (მე-4 საშუალო სკოლა), ლ. ელუაშვილი (მე-9 საშუალო სკოლა), ლ. ჯარლოსავა (მე-13 საშუალო სკოლა), გ. შალამბერიძე (მე-14 საშუალო სკოლა).

მაგრამ, მათემატიკის სწავლებას შემოწმებულ სკოლებში ნაკლოვანებებიც ანასიათებს:

არადამაყმაყოფილებლად ასწავლიან საგანს მასწავლებლები: თ. სეფიაშვილი (23-ე საშუალო სკოლა), ვ. ფხაგაძე (32-ე საშუალო სკოლა), ვ. კუჭუნიძე, ს. ბალანჩიკაძე (მე-7 საშუალო სკოლა), თ. გვირაძე (1-ლი საშუალო სკოლა), დ. მარგელაშვილი, გ. ხუციშერიძე (მე-2 საშუალო სკოლა), გ. მამისეიშვილი (მე-4 საშუალო სკოლა), გ. ჭილაძე (მე-19 საშუალო სკოლა), ა. ლევიძე (23-ე საშუალო სკოლა), ბ. ბარაბაძე, ნ. ფონია (მე-13 საშუალო სკოლა), ლ. პოდუშაძე (მე-9 საშუალო სკოლა), ლ. გაბაევა (მე-14 საშუალო სკოლა).

ეს მასწავლებლები არ არიან სათანადოდ დაუფლებული საგანსა და მისი სწავლების მეთოდიგას, ვერ ერკვევები ბოლო ხანებში მათემატიკის სწავლებაში დაკვიდრებულ სიახლეებში, ვერ უწყობენ ფეხს ცხოვრების მოთხოვნებს და ამის შედეგად მათი მოსწავლეებიც მოუმზადებლობას და ზოგჯერ უვიცობასაც ამჟღავნებენ ამ საგანში.

მასწავლებელმა თ. სეფიაშვილმა პრც საგანი იცის და არც მისი სწავლების მეთოდები, მისი გაკვეთილების ორგანიზაცია ყოვლად უვარვისია. მე-10 კლასში ალგებრა და ანალიზის საწყისების გაკეთილზე მან დაფასთან ერთბაშად გაიძახა სამი ბავშვი საშინაო დავა-



ლების შემოწმებისათვის, მოინდომა ამავე დროს კლასთან მუშაობის ცალკე  
სხვა მაგალითების ამოსახსნელად, მაგრამ ვერც ერთს ვერ გააჩვენა  
თავი და გავვეთილშე სრული ქაოსი შეიქმნა. მოსწავლების მიერ და-  
ფაზე დაშვებულ შეცდომებს მასწავლებელი ვერ ამჩნევდა და ხშირად  
თვითონაც უშვებდა უხეშ შეცდომებს. ბავშვები წერენ  $\cos(x - \frac{\pi}{6}) > \frac{3}{2}$   
აქედან გამომდინარეობს  $x - \frac{\pi}{6} > \frac{\pi}{6}$  ისინი მასწავლებლის დახმარე-  
ბით ამბობენ, რომ ფუნქცია კოსინუსი ზრდადია შუალედში [  $O_1 \frac{\pi}{2}$  ]  
მასწავლებლისავე დახმარებით მოსწავლები დაფაზე და რვეულებში  
წერენ:  $\sin x = -1$  ან  $\sin x: \frac{1}{2}$  ე. ი.  $\sin x = -\frac{1}{2}$ ,  $\sin x = \frac{\pi}{6}$

მასწავლებლის უციცობა კიდევ უფრო გამომუდავნდა ახალი მასა-  
ლის ახსნისას, როცა აღნიშნა, რომ:  $\sin^2 x + \cos^2 x = 1$  იგივეობა  
სრულდება მთელ რიცხვთა სიმრავლეზე, ე. ი. ნებისმიერ რიცხვთა სიმ-  
რავლეზე“, ასევე  $\operatorname{tg} x$  განსაზღვრულია  $\frac{\pi}{2} + 2\pi k$  კუთხი-  
სათვის“ და სხვა.

სუსტი მომზადება გამოიჩინეს გეომეტრიაში 32-ე საშუალო სკო-  
ლის მე-6 კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ვ. ფხავაძე). ახალი მასალა  
„ტეხილი“ მან არასწორად ახსნა. მის მიერ მიცემული განმარტება  
მარტივი ტეხილის განმარტება და არა საერთოდ ტეხილისა, ახსნის  
დროს მასწავლებელს არავითარი თვალსაჩინოება არ გამოყენებია,  
გარდა კუბის მოდელისა. მის თხრობას აკლია დამაჯერებლობა. ამას-  
თან, ყოველი წინადადების წარმოთქმისას სახელმძღვანელოში იცქირე-  
ბა. მასწავლებელს ძალშე გაუჭირდა აესნა, რომ ტეხილის სიგრძე მი-  
სი ბოლო წერტილების შემაერთებელი მონაკვეთების სიგრძეზე მეტია,  
ამიტომ ბავშვებსაც აქედან არაური გაუგიათ.

ალგებრაში უცოდინარობას ამჟღაცნებენ მე-7 საშუალო სკოლის  
მე-8 კლასის მოსწავლეები (მასწ. ვ. კუჭუხიძე), მათ არ იციან კვად-  
რატული ფუნქციის გრაფიკის არსი, უჭირთ კვადრატული უტოლობის  
ამოსნა და სხვა.

მასწავლებელი ს. ბალანჩივაძე (იგივე სკოლა) ვერ ახერხებს კლა-  
სის მუშაობაში მთლიანად ჩაბმას, იგი უმეტესად დაფასთან გაყენილ  
მოსწავლეებთან გამართული ლიალოგითაა დაკავებული და კლასი კი  
უყურადღებოდ ყავს მიტოვებული.

მასწავლებელი თ. გვეტაძე (1-ლი საშუალო სკოლა) მე-4 კლასის  
მოსწავლებს მექანიკურად აზეპირებინებს პროგრამულ მასალას, შინა-  
არსი კი არ ესმით. ამით უგულებელყოფს განმავითარებელ სწავლე-  
ბას, მოსწავლეთა აქტიური აზროვნების განვითარებაზე მუშაობას, მა-

გალითად, მან კლასის წინაშე დააყენა კითხვები: „რას ეწოდება მიწაზუალი ცხველი?“ „რას ეწოდება მიწაზნელი?“ თუ რას გვიჩვენებს წრილად მრიცხველი და მიწაზნელი. მეტიც, მთელი ეს საუბარი განყენებულად მიმდინარეობდა.

ცუდად ასწავლიან საგანს დ. მარგველაშვილი და გ. ხუციბერიძე (მე-2 საშუალო სკოლა), დ. მარგველაშვილმა მე-7 კლასში გაკვეთილის უმეტესი ნაწილი საშინაო დავალების შესრულების შემოწმებას მოანდომა, ახალი მასალა კი ზარის შემდეგ ახსნა, თანაც არასწორად და ისე ჩქარობდა, რომ ვერ გაიგეს მოსწავლეებმა, თუ რისი თქმა სურ-და. ამ ფაციუსუცში მან არასწორად ჩამოაყალიბა მრავალკუთხედის ცნება, შემდეგ კი შეცალა დაშვებულ შეცდომების გასწორებას, მაგ-რამ ამან უფრო მეტი გაუგებრიობა გამოიწვია.

ე. ხუციბერიძის მოსწავლეებს მე-9 კლასში წარმოდგენა არა აქვთ მატერიალურ რიცხვებზე და არ იციან, რა არის ნამდვილ რიცხვთა სიმ-რავლე.

მასალის უაზრო დაზეპირებაზე არიან გადასული მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლეები (მასწ. გ. მამისევიშვილი), იგი ვერ ახერხებს კლასის ჩაბმას მუშაობაში, მხოლოდ დაფასთან გაძახებულ მოსწავლე-ებთან საუბრით კმაყოფილდება, მოსწავლეები კი უსაქმერობენ, ფუს-ფუსებუნ, საუბრობენ. მამისევიშვილი სრულყოფილად ვერ ახდენს ახა-ლი მასალის განმტკიცებას — ახლად ახსნილი ორი თეორემიდან ერთი სამჯერ დაამტკიცებინა, მეორე კი სრულიად უყურადღებოდ დატოვა.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლის საგანს გ. ჭოლაძე (მე-19 სა-შუალო სკოლა). მისმა მოსწავლეებმა მე-6 კლასში არ იციან მონაცე-თის სიგრძის გამოთვლა მოცემული კოორდინატების დახმარებით, ამ კლასის 23 მოსწავლიდან ცხრამ არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო გეგმით გათვალისწინებულ საკონტროლო წერაში.

დაბალია ამავე მასწავლებლის მეტვეკლასელთა ცოდნის დონე, მათ არ შეუძლიათ უმარტივესი სახის ტრიგონომეტრიული განტოლე-ბის ამოხსნა, უჭირო რაციონალური გზის მონახვა უმარტივესი ტრიგო-ნომეტრიული გამოსახულების გარდაქმნისას.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხსიათდება მასწავლებელ ა. ლევი-ძის მუშაობა (23-ე საშუალო სკოლა) მე-4 კლასში. მის მიერ ახსნილი ახალი მასალა „განტოლება“ ვერ გაიგო მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა, რადგან ახსნისა არ გამოუყენებია თვალსაჩინოება. მოსწავლეებს არა აქვთ გამომუშავებული დამოუკიდებელი მუშაობის და ყურადღებით მოსმენის ჩვევები. ამის მიზეზი ის არის, რომ მასწავლებელი მოსწავ-ლეთა ერთ ჯგუფთან მუშაობს, სხვები კი უყურადღებოდ ყავს მიტოვე-ბული.

— მოსწავლეთა არასათანადო ცოდნის დონე გამოავლინა საკონტრო-ლო წერამაც. მაგალითად, მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელ ნ. მან-66



დარიას მე-6 კლასის 33 მოსწავლიდან შეფასება „5“ არც ერთს არ დაიღუპა უმსახურებია, ნიშანი „2“ კი მიიღო ცამეტმა.

ამავე სკოლის მასწავლებელ დ. მარგველაშვილის 31 მოსწავლიდან ნიშანი „2“ დაიმსახურა თორმეტმა მოსწავლემ, „5“ არავის არ მოულია, უფრო მეტი, მოსწავლებმა „შპარგალკებიც“ გამოიყენეს და ამხანაგებისაგან გადაწერაც კი სცადეს.

32-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის 31 მოსწავლიდან (მასწ.) ლ. ჯავახაძე) ნიშანი „2“ მიიღო 16-მა, სხვებმა კი სამიანები დაიმსახურება, ამავე სკოლის მე-10 კლასის 62 მოსწავლიდან „2“ მიიღო ოც-დათმა (მასწ. ვ. გერაძე), ანალოგიური მდგომარეობაა მე-12 საშუალო სკოლის მე-10 კლასშიც, სადაც 26 მოსწავლიდან 18-მა დაიმსახურა „2“ (მასწ. გ. ნიუარაძე) და მე-19 საშუალო სკოლის მე-10 კლასში (მასწ. ფ. ფიჩაძე), რომლის 19 მოსწავლიდან არადამაკაყაყოფილებელი შეფასება მიიღო 17-მა.

მსაგასი მდგომარეობაა რუსულ სკოლებშიაც. საკონტროლო წერებმა ცხადყო, რომ შემოწმებული სკოლების მოსწავლეთა უმრავლესობა სუსტად ერკვევება განვლილ საპროგრამო მასალაში — როგორც ალგებრა და ანალიზის საწყისებში, ისე გეომეტრიაში, არ შეუძლიათ მარტივი სახის ტრიგონომეტრიული განტოლების ამოხსნა და იგივეობათა დამტკიცება. ტრიგონომეტრიული გამოსახულების უფრო მარტივ სახეზე დაყანა, ვერ წერენ ჰარმონიული ჩევრის ღიფერენციალურ განტოლებებს, უჭირთ მარტივი ტიპის გეომეტრიული ამოცანების ამოხსნაც. აღსანიშნავია ისიც, რომ მაღალი აკადემიური წარმატების მქონე მოსწავლეებმა ვერ მიიღეს კარგი ნიშნები.

მორითადად დამაკამაყოფილებლად მუშაობენ მათემატიკის საგანობრივი წრეები. არის სამუშაო გეგმები, ტარდება. მეცადინეობები, გამოდის კედლის გაზეთებიც, მაგრამ შეინიშნება ნაკლიც: მე-12 საშუალო სკოლაში დამკვიდრებულია წრეების დაკომპლექტების არასწორი პრაქტიკა — სასწავლო წლის დასწყისში წრეების ხელმძღვანელი მასწავლებლები ბავშვებს თავიანთი სურვილის მიხედვით ინაწილებენ, გამორიცხულია ბავშვთა სურვილი და მისწრაფება მათემატიკისადმი. ამიტომ არის, რომ მეცენატულსასლოთა წრეში გაერთიანებული 16 ბავშვიდან 9 სამოსანია ამ საგანში. მუშაობის თემატიკა არა-დამაკამაყოფილებელია, ჰარბობს სავარჯიშო მასალა.

უვარებისა მე-4 საშუალო სკოლის მე-5, მე-6 კლასების მოსწავლეთა წრის სამუშაო გეგმა (ხელმძღვანელი ფ. ობოლაძე), მასში ძირითადად პროგრამული საკითხებია გათვალისწინებული.

23-ე საშუალო სკოლის მეოთხეკლასელები წრის გარეშე არიან დარჩენილი. დირექციაზე განაწყენებულმა მასწავლებელმა ა. ლევაძემ უარი განაცხადა წრის ხელმძღვანელობაზე და წრეც აღარ შექმნილა. უპასუხისმგებლოდ არის შედგენილი ამ სკოლის მე-9, მე-10 კლა-

სების მოსწავლეთა წრის სამუშაო გეგმა (ხელმძღვანელი თ. სეფაშედეკავთა განმარტებული და სხვა).

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ რუსული სკოლების მათემატიკის საგნობრივი წრეები.

სკოლებში გარკვეული მუშაობა ტარდება მასწავლებელთა მეთოდური დაწელოვნებისათვის. ამ საქმეში გარკვეულ მუშაობას ატარებენ მეთოდური გაერთიანებები, სასკოლო მეთოდგაერთიანებებს განხილული აქვთ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მეთოდური წერილი „1981—1982 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების შესახებ“.

1-ლი საშუალო სკოლის ამ საგნის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებებს წელს მოსმენილი აქვთ საკითხები ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა: „როგორ ვაყყარებ საგანთაშორის კავშირს მათემატიკის გაკვეთილებზე“, „ზოგიერთი მოსაზრებანი მაჩვენებლიანი განტოლების ამონსნაზე“, „შედარებით სუსტად მუშაობენ მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებები.“

დამაკმაყოფილებელია მათემატიკის მასწავლებლებისადმი შინა-სასკოლო კონტროლი და დახმარება მე-19 და 23-ე საშუალო სკოლებში. უნარიანად ხელმძღვანელობს ამ საგნის მასწავლებელთა მუშაობას 32-ე საშუალო სკოლის დირექტორი ა. გვაზავა, მის მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები საქმიანია, ამ სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში ქმედითი ღონისძიებებია დასახული მათემატიკის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ქ. ქუთაისის, მისი რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების, მეთოდური სამსახურის მუშაკების, სკოლების ხელმძღვანელების, ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის მასწავლებელთათვის ჩატარდა თაბირი, რომელზეც გაეცნოთ შემოწმების შედეგები და ღრმა ანალიზი გაუკეთდა მიზეზებს, რომელიც ხელს უშლის მოსწავლეთა მიერ მკვიდრი, მტკიცება და საფუძვლიანი ცოდნის მიღებას ამ საგნებში.

ამგვარად, მიზეზები, რომელთა გამო ამ ბოლო წლებში ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებმა გამოცდებზე ვერ გამოავლინეს საფუძვლიანი, მტკიცებული ცოდნა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, შემდეგში მდგომარეობს:

მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა ვერ ერკვევა, თანამედროვე გაკვეთილისადმი წაყვენებულ მოთხოვნებში, გაკვეთილებს ატარებს ძველებურად, უინტერესოდ, მოხწავლეთათვის მოსაწყენად, ნაკლებად ცდილობს მოსწავლეთა აქტიური შემოცნებითი ძალების განვითარებისა და დამოუკიდებელი, შემოქმედებითი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის.



გაკვეთილზე არ შეინიშნება შეგნებული სამუშაო დისციპლინა; მათ  
სწორი სასწავლო ორგანიზაციისათვის ზრუნვა, არ არის შექმნილი მო-  
სწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების კონტროლის მოქნილი სის-  
ტემა. მასწავლებლები ატარებენ გაჭიანურებულ გამოკითხვას, ხოლო  
მოსწავლეთა დიდი ნაწილი უმოქმედოდ, უსაქმოდ არის. ყოველივე ეს  
კი იმის შედეგია, რომ არასწორად იგეგმება სასწავლო-აღმზრდელო-  
ბითი პროცესი. გაკვეთილზე არ ჩანს ასახსნელი მასალის მოცულობა და  
შინაარსი, არ იქმნება პრობლემური სიტუაციები. მასწავლებლები სწავ-  
ლების პროცესში ნაკლებად იყენებენ ტექნიკურ საშუალებებსა და  
თვალსაჩინოებას, ვერ ფლობენ დიდტანიანი მხატვრული ნაწარმოების  
სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, სათანადო სიღრმით ვერ ასწავ-  
ლიან მხატვრულ ქმნილებათა ტექსტებს, საჭირო ყურადღებას არ უთ-  
მოხენ განმავითარებელი სწავლების ფართოდ და სრულყოფილად და-  
ნერგვას, გაკვეთილზე ისეთი პირობების შექმნას, რომ მოსწავლეებმა  
იფიქრონ, დამოუკიდებლად იაზროვნონ, იმსჯელონ, დასკვნები გა-  
აკეთონ.

პედაგოგები შემოქმედებითად, გამოსაკითხი და ასახსნელი მასა-  
ლის შესაბამისად არ არჩევენ საბჭოთა სკოლაში დამკვიდრებული  
სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების ტრადი-  
ციულ მეთოდებსა და ხერხებს, არ ცდილობენ მათი მოდერნიზაციის,  
განმავითარებელი სწავლების სამსახურში მათი ჩაყენებისათვის. გრა-  
მატიკას არ ასწავლიან ზეპირმეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატუ-  
რასთან კავშირში, საქამა ყურადღებას არ უთმობენ ენის პრაქტიკულ  
მხარეს, ორთოვრაფიის, პუნქტუაციისა და სტილისტიკის საკითხების  
მოსწავლეთა მიერ გაცნობიერებას.

სკოლებში ყურადღება არ ექცევა საშინაო დაგალების რვეულების  
გასწორებას, მოსწავლებს არ ამუშავებენ დაშვებული შეცდომების გა-  
ანალიზება-გასწორებაზე, არ ატარებენ საკლასო წერებს, ერთი სიტყ-  
ვით, მოსწავლებს არ ასწავლიან წერას, მეტიც: მეთოდურად არასწო-  
რად ატარებენ საკონტროლო წერებს, შინასწარ დაწერინებენ საკონ-  
ტროლო წერისათვის გათვალისწინებულ ერთ ან ორ თემას საშინაო და-  
ვალების რვეულებში, წაკითხავენ გაკვეთილზე ამ თემებს, შეასწო-  
რებენ და მომდევნო გაკვეთილზე გადაწერინებენ საკონტროლო წე-  
რის რვეულებში.

ფორმალიზმი შეინიშნება სარაიონო და სასკოლო მეთოდური გა-  
ერთიანებების მუშაობაში. არ იხილავენ ისეთ მტკიცნეულ საკითხებს,  
როგორიცაა: მოსწავლეთა წერის კულტურის დაბალი დონის მიზეზები  
და მათი აღმოფხვრის გზები და საშუალებანი, თანამედროვე გაკვეთი-  
ლის აგების პრინციპები, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მათე-  
მატიკის გაკვეთილების ეფექტუანობის ამაღლების გზები და საშუალე-  
69



ბები, მეოთოდგაერთიანებები არ წარმოადგენენ მასწავლებელთა შეზღუდულობების დაგნოსტიკური სკოლებში.

სკოლის ღირეულობრივი სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ აღნიშნული საგნების მასწავლებლების მუშაობაში, საჭირო სიღრმით არ აანალიზებენ მასწავლებელთა მუშაობას, არ სახავენ გზებს მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებები არ სწავლობენ მიღებული დადგენილებების შესრულების მიმღინარეობას და არ იხილავენ მათ, ხოლო მათი მეოთოდური სამსახურის მუშაკები კა მასწავლებლებს ვერ უწევენ საქმიან დახმარებას:

### **სკოლების სამმართველო**

**80651660**

Постановление — о проведении мероприятий, посвященных 60-летию Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина	3
за № 175/26/60 — г. Тбилиси 27-е сеансу альянса курортов Грузии и Азербайджана	11
за № 175/26/60 — г. Тбилиси 27-е сеансу альянса курортов Грузии и Азербайджана	22
за № 175/26/60 — Тбилиси 27-е сеансу альянса курортов Грузии и Азербайджана	32
за № 175/26/60 — Тбилиси 27-е сеансу альянса курортов Грузии и Азербайджана	34
за № 175/26/60 — Тбилиси 27-е сеансу альянса курортов Грузии и Азербайджана	41
за № 175/26/60 — Тбилиси 27-е сеансу альянса курортов Грузии и Азербайджана	43